ანტონ ფურცელაძე

# ათი მტერი, ერთი მოყვარე

["დროების" დამატება]

39018

Библиотека-Музей
Акад. И. Грышашвили
Академия наук Г...

"მნათობი"
" 1872
ივლის. 1, 4 წიგ.



## ათი მტერს ერთი მოყვარეს.

("დროება" და იმისი მსჯელობა).

ვისაც არ გამოუცდია, ვერ წარმოიდგენს რა ძნელია რევა და ქექვა ძველისა და აქეთ-იქით მიყრილის გამოცემულებისა, მეტადრე თუ ეს გამოცემულება არის გაზეთი უნდა თითო ფურცლობით ეძიო, უნდა გასინჯო სათაურები, წაიკითხო ხელმეორეთ ის, რაც ერთხელაც გაგჭირვებია და მწუხარებითა და თავის ქნევით წაგვიკითხავს. მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში, მეტი ჯანი არ არის—უნდა იკისრო. რაღა თქმა უნდა, რომ ერთი ათიოდე სხვა რიგიანი გამოცემულება რომ გვქონდეს, ჩვენ შეგვეძლო სრულიად უყურადღებოთ გაგვეშვა ისეთი გაზეთი, როგორიც «დროებაა», რომელსაც მაშინ რაც უნდა ერასუ-ნებინა, ყურს არავინ უგდებდა; რადგან სადაც ბევრი რიგიანი მწერ-ლობაა, იქ მაგგვარი უნიჭო ორგანი ფეხს იხამდა და სალაზღანდა-როთ გახდებოდა. მაგრამ ჩვენში, სადაც ერთად ერთი გაზეთია და სადაც მეტი ჩარა არა აქვს რომ ბეჭდვითი კითხვის ახლად შეჩვეუ-ლმა ხალხმა არ დაუგდოს ყური; იქ ვალია ყოველი რიგიანი და სინი-დისიანი კაცისა აუხსნას ცკანდელების ცრუპენტელაობა, მესხების უნი-ჭობა და დიმიტრიძეების ნაცარქექიაობა და სხვანი, რომ ამითი თვით მკითხველები არ ჩაცვივდნენ შეცდომილებასა და გონებას სიბნელეში.

ერთი უმთავრესი დანიშნულებათაგანი ლიტერატურისა არის ის, რომ ხალხს ასწავლოს თაოსნობა, ანუ როგორც ევროპელები იტყვი-

ან, ინიციატივა; ასწავლოს უპირატესობა საქმეში და თავდებობა. ესე-
ნი ყოველივე «დროებას» დავიწყებული ჰქონდა მას შემდეგ, რაც იმის რედაქტორები, მესხი და წერეთელი გამოვიდნენ პირველად ამ გაზეთის დამაარსებლების გავლენისაგან და სცნეს თავი თავისუფლად. თუ სადამდის მიაღწია იმათმა სწავლამ შესახებ ქვემდებარეობობით (პასივური) ცხოვრებისა, რომ კაცი გახდეს უნაყოფო, დაჰკარგოს ყოველი შრომა დამოდევაწყობა, შეიქნეს სრული უვარგისი და სთქვადეს სხვის ოფლსა და საზრდოს, მე მოვიყვან ერთს მაგალითს. აი სხვადა მოძღვის რას უქადაგებენ ესენი მკითხველებს. («დროება» № 13 1869 წ.)

«აღთქმა შენი, —უქადაგებს დროება მოძღვრის პირით თავის მკითხველებს, —ვითარცა აღთქმა მონოზნობისა, არს უმთავრესად სამი: მორჩილება, სისაწყლე და ქალწულება. ანუ ქალწულებრივი ცხოვრება. აღსრულება ამ სამთა აღთქმათა: მორჩილებისა, სისაწყლისა და წმინდა ქალწულებრივი ცხოვრებისა მიგიყვანს შენ სამოთხისა კართან; რასაკვირველია აღთქმა პირველი მორჩილება, ითხოვს შენგნით რათა დაეპყრა მორჩილებას.. რათა იმყოფებოდე მორჩილებაში ყოველთა პირთა თანა და უმეტესსათ უფროსებთან... რათა იმყოფებოდე დუმილებასა და მოთმინებაში».

მეორედგან, იქვე, სადაც ამბობს მეორე აღთქმა—სისაწყლეზედ.

«ყოველსავე ცხოვრებასა შინა უნდა გაჩნდეს და გაჰქვნდეს სახე სისაწყლისა. სისაწყლისა და სიმშილისათვის ნუ შეძრწუნდების გული შენი. მიუტევე ზრუნვა შენი უფალსა და მან გამოგზარდოს შენ».

რასაკვირველია, რომ აქამდის ამგვარის ქვემდებარეობითი (პასიური) ცხოვრების ქადაგებამდის არ მისულა არც ერთი კლერიკალური

ლიტერატურა ამ უკანასკნელს დროში: რა უნდა ვისწავლოთ აქედამ? — ისა, რომ იყავით უნაყოფონი და ქალწულებიდამ დედამიწა თავადვე გაშენდებაო; იყავით ყველანი მორჩილებაში და თაოსნობა და საქმის მწარმოებლობა თავის თავად შეკლეჯ თქვენს თავშიაო და ყველა საქმე თავად გამოგივარდებათო და გაკეთდებაო, ნუ იღვწით, ნუ იშრომებთ და ყოველი საზრდო თავად გაჩნდება და ჩაგივარდებათ პირშიო; იყავით საწყალნო, სისაწყლე კარგიაო, და სხ. და სხ.

წარმოიდგინეთ მკითხველო, რომ ჩვენი საზოგადოება, ისეც დაპყრობილი ამ აზრებისაგან, გაჰყვა ამ ქადაგებას, ან, უფრო კიდევ უარესი, წარმოიდგინეთ, რომ ყველანი დადგნენ ამ აზრზედ, ანებეს ამ სოფლის მზრუნველობას თავი, მიჰყვეს ხელი ქალწულებას, უსაქმურობას, სისაწყლეს, შიმშილს, მოთმინებას, მორჩილებას. რა მოელის მაშინ ქვეყნიერებას?! ნუ თუ ამისი მოფიქრება არ შეეძლო «დროებას». მაგრამ დაჩვეულნი თვით ქვემდებარეობით (პასსიურს) ცხოვრებას, ისინი მივიდნენ უკანასკნელობამდის. ესლანდელს დროში რომ კაცი ქალწულებას ჰქადაგებდეს, ის კაცი უნდა იყვეს ან ყოვლად უმეცარი ან ყოვლად უპატიოსნო, რომელსაც ერთი კაცის პატივის ცემა ურჩევნია, თავისი მკითხველი საზოგადოების სარგებლობას და ჭეშმარიტებას. არ არის საკვირო, რომ «დროებას» უჩვენო ამგვარი უგვანება მეცნიერების ძალით, მაგათ მოაგონებ მხოლოდ სახარებისა და სამღვთოწერილის სიტყვებს, თუ ან ესენიც იციან, რომელნი გვეტყვიან, რომ მოჰკვეთეთ უნაყოფო ხე და მიეცით ცეცხლსაო; ეს არის სწორედ იმ ქალწულებისთვის ნათქვამი, რომელსაც ჰქადაგებს «დროება». ეგრეთვე სიტყვები: შრომითა შენითა დაირჩინე თავი შენიო. ანუ მოიგონონ ის იგავი დამარხულის ტალანტისა, რომელიც ეგრეთვე შეეხება შრომასა და მოღვაწეობას. ანუ მოიგონონ კიდევ ის ბრძანება ღვთისა, სადაც ის ჰლოცავს აბრაამსა, რომ იმრავლეთ და მოჰფინეთ ქვეყანა მცხო-

ვრებლებითაო, და გამრავლდით ვითარცა ქვიშანი ზღვისანი და ვარს-კვლავნი ცისანიო.

ეს ნაქადაგები «დროების» სიტყვები ეწინააღმდეგებიან, როგორც მეცნიერებას ისე სამღრთო წერილს. მაშასადამე რა მიზეზია ამისი ქა-დაგებას? ამას ახსნის მხოლოდ ის, რომელმაც იცის რომელიმე გარე-მოება, რომელიც ახელმძღვანელებს «დროების» მოღვაწეთა.

რაკი ერთხელ და ერთხელ აუღია «დროებას» ხელმძღვანელ აზ-რად თავისი საკუთარი სარგებლობა წინააღმდეგ საზოგადოების კე-თილდღეობისა, იქ ნიადაგ ადგია ამ გზასა და არა ჰზოგავს არაფერს ამისთვის. მოვიყვან ერთს კიდევ გასაოცარს წინდაუხედავს და ყოვე-ლი რიგიანი ქართველისათვის გონების ამაღელვებელ მაგალითს. ვინ არ იცის ერთი გამოჩენილი პედაგოგის ქართველი საზოგადოების წი-ნააღმდეგი აზრები! ვინ არ იცის ამ პედაგოგის ქადაგება, რომ ქარ-თველები ისეთი უნიჭონი არიან თავის ბუნებითაო, რომ იმათთვის სწავლა ამაოაო! ვინ არ იცის ამავე პედაგოგის მეცადინეობა, რომ სრულებით მოსპოს ქართული ენა და ყოველივე რაც კი ქართველს მოაგონებს ქართველობას, რაც ქართველს მოუტანს სარგებლობას! ვინ არ იცის ამავე პედაგოგის ის საზიზღარი გარემოებანი, რომელიც ჩაი-დინა და თავს გადაჰხედია. ბევრი ამათგანი თვით «დროებას» უცნო-ბებია მკითხველებისათვის. მაგრამ თავის სარგებლობის გულისათვის და სასიამოვნოდ რომელთამე შემძლე პირთა, «დროებამ» გაჰკიცხა ის პირი, რომელიც წინაშე მთელის საზოგადოებისა მასხარად ჰხდიდა ამ პედაგოგის საზიზღარ საქმესა. აი რა რიგის გაკიცხვით ლაპარაკობს «დროება» იმ პირზედ, რომელმაც შეჰმართა პირველად საზოგადოდ სიტყვა ამ საზიზღარ პედაგოგს. «თუმცა ჩვენ მოგვწონს უფ. სოკო-ლოვის თამამობა, მაგრამ უნდა კი ვსთქვათ, რომ მისგან დამატებულს სიტყვებს სრულებით ვერ გავიგეთ თუ რა აზრი ჰქონდა.»

აბა წარმოიდგინეთ ყურებში თითის დაცობა, რომ «დროებამ» ვერ გაიგო სოკოლოვის დამტებულ სიტყვებს რა აზრი ჰქონდა! რა უნდა ვიფიქროთ ჩვენ აქ, როდესაც «დროება» თითონ ამბობს, რომ «რაც კი სოკოლოვისაგან იყო ჩარეული. ამ პიესაში, ძალიან აღტაცებაში მოჰყავნდა პუბლიკა, რომ თითქმის ათი მინუტი აღარ ისმოდა რა ხოლმე ტაშის კვრისაგან. აგრეთვე ამ არტისტს პუბლიკამ მისცა ერთი ყვავილის გვირგვინი და ვერცხლის ჩაის იარაღი.» რა უნდა ვიფიქროთ ამ შემთხვევაში «დროებაზედ», რომელსაც ისიც არ ეყურება, რასაც მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავს? რასაკვირველია, რომ «დროება» ისე ჩლუნგი და რეტიც არ არის, რომ ის არ ეყურებოდეს, რაც ყველა უკანასკნელსაც ეყურება, მეტადრე ეს საქმე, რომელსაც სამოსამართლო საქმის წარმოება თითონვე ჰქონდა თავის ფურცლებზედ დაბეჭდილი. მართალია, «დროების» რედაქციას ბევრი მართულები აკლია და ბევრი ჩარხი მოშლილი აქვს ტვინის მოძრაობაში მაგრამ რომ ის ისე ყოვლად მოშლილი იყვეს, რომ არ ესმოდეს, რაზედაც სოკოლოვი ლაპარაკობდა, ეგ შეუძლებელია. მაგრამ იმ პირმა, რომელსაც სოკოლოვი დასცინოდა და იმ პირმა, რომელიც ამ ფელეტონსა სწერდა ერთად გაუწიეს ყონაღობა ერთს რომელსამე გამოჩენილს პირს. ეს მეფელეტონეც და ის დაცინებული პედაგოგიც არიან რამე საქმეში თანაზიარნი და ერთი შეძლებით, მეორე ადგილით არიან გავლენიანი პირები. მაშასადამე, «დროებას» უნდა ამათ სასარგებლოდ ელაპარაკნა. რომ «დროებას» ამგვარი პასუხი შესახებ სოკოლოვის ლაპარაკისა გაუგებრობით არ მოუვიდა, ამტკიცებს ეს ბრაზმოსული სიტყვები შესახებ საკოლოვის მოქმედებისა ამავე ფელეტონში. «ერთის სიტყვით, მეორე მოქმედება თავიდამ ბოლომდინ სულ ამისთანა უაზრო სიტყვებით იყო სავსე».

ახლა ვკითხავთ «დროებას», იკადრებს ერთი რიგიანი კაცი

არის იმ კაცის დაცვას, რომელსაც იცავს «დროება» და რომლისათვისაც ის ჰკიცხავს სოკოლოვის მოქმედებას? იკადრებს ამას ის ჟურნალი, რომელსაც ნამდვილი სურვილი აქვს მოუტანოს სარგებლობა თავის მკითხველს საზოგადოებას და არა მტერს?

მაშინ, როდესაც «დროება» გადადის ჩემს ფიზიკურს ნაკლულევანებაებზედ, რომელიც სრულებით არაფრით არ შეეხება ლიტერატურას, მე შემეძლო თვითონაც გადავსულიყავ ამ გაზეთის მშრომელების ზნეობითი ვითარებაებზედ და დამემტკიცებინა, რომ მაგგვარ ზნეობითი კაცთ არ შეუძლიანთ გაძღოლა არა ვითარი საზოგადო საქმის სინიდისიერად, მაგრამ ამ ჟამად ვიდუმებ, რადგან მაგათი ბეჭდვითი . . . . . . . ბევრი მაქვს სათქმელი. ამას გადავდებ სხვა დროსათვის, იმდროსათვის, როდესაც ეგენი კიდევ გაჰბედვენ ვისმე კერძო ცხოვრებაზედ ლაპარაკს. მით უფრო მივცემ ამაზედ ჩემს თავს ნებას, რომ «დროება» თვითვე ჰპოვებს, რომ საზოგადო საქმის მაწარმოებლები უნდა იყვნენ თვის კერძო ცხოვრებით საზოგადოების წინაშე პასუხის გებაშიო...

როგორც ვთქვით, ძვირად თუ სადმე «დროებას» გამოუჩენია სიმართლე და სინიდისიერად საქმის შესება. იმის ნაცვლად ხელმძღვანელად ყოფილა საკუთარი სარგებლობა და კიდეც იმიტომ ამტკიცებდა რომ სინიდისი და უსინიდისობა ყველას თავისებურად ეყურება და მაშასადამე ყველას შეუძლიან ისე მოიქცეს, როგორც თითონ იამებაო. (იხილე «დროება» 1872 № ). ამის მაგალითებიც შეგვიძლიან მოვიყვანოთ მრავალი. არ რას ამბობდა «დროება» იმის შესახებ, რომ «მნათობმა» შეიგვიანა რამდენიმე თვე და არ გამოვიდა. «თითქმის ერთის წლის მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა გამოვიდა „მნათობის,, პირველი, იანვრის წიგნი. რა უნდა ვსთქვათ ამ გარემოებაზედ ამის მეტი, რომ ამ ნაირად ჟურნალის გამოცემა შეუძლებელი საქმეა:

საზოგადოებას თითქმის დაავიწყდა, რომ ერთს დროს “მნათობი,, არსებდა ქვეყანაზედ და ახლა იმან ისევ ამოჰყო თავი.... დარწმუნებული ვარ, რომ თუ როდისმე “დროების,, გამომცემლებს შემოაკლდათ ყოველი ღონისძიება გაზეთის გამოცემისა მაშინ ისინი სრულიად მოსპობას ამჯობინებენ, ვინემ “მნათობისათვის,, იფორთხონ ,,

შემდეგ ამ ფელეტონს “დროება,, ასე ათავებს, რომ ახლა “კრებული,, გამოდის და ამ ორი წიგნიდამ ცხადად დაინახავს მკითხველი, რომ “მნათობივით,, ცუდად არ წავა ამის საქმე და საზოგადოების თანაგრძნობას დაიმსახურებსო.

რასაკვირველია, აქ მკითხველმა უნდა დაინახოს, რომ უფალი მესხი ლაპარაკობს ჭეშმარიტებას. მაგრამ ჯერ ერთი ესა, როგორ იცოდა უფ. მესხმა, რომ “მნათობი,, გამოვიდა ყოვლად უღონის ძიებოდ! უღონისძიებოდ ჭიაც არა სცხოვრობს. ჯერ ერთი ეს ამტკიცებს, რომ უღონისძიებოთ არ გამოვიდა, რომ იმან შეისრულა მთელი წელიწადი თავის დროსა და ვადაზედ. მაშასადამე ამის ღონისძიებაზედ იმას ლაპარაკი არ შეეძლო. მაგრამ აქ ცხადად ვხედავთ იმის ასირებულს სურვილს, რომ “მნათობი,, მოსპობილიყო. იმან იცოდა კარგად რომ ახლად გამოსულს “მნათობში,, შეკიდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც იცოდნენ ყოველივე გარემოებანი “დროებისა,, და მესხისა, რომელნიც დიდი ხანია ცუდის თვალით უყურებდნენ ამათს წამხდარს აზრებს და ადრე იქნებოდა თუ გვიან აუღსნიდნენ საზოგადოებას ამათს საქმეზედ თვალს.

მაშინ, როდესაც “დროება,, ასე აღელვა “მნათობის,, შეგვიანებამ, რას ჰფიქრობდა “დროება,, გ ა ზ ე თ ი, როდესაც ის რამდენიმე კვირეობით იგვიანებდა და ისიც სრულიად უმიზეზოდ, არც ღონისძიების მოკლებით, არც სხვა რამე გარემოებით, მხოლოდ რედაქციის სრულის უყურადღებლობით და უზრუნველობით. რას ჰფიქრობდა

მაშინ მესხი: რა უფრო სირცხვილია, ისა რომ ულონისძიებლოდ კაცმა ვერ შეასრულოს საზოგადოებისადმი მოვალეობა, თუ კაცმა ვერ შეასრულოს ეს მოვალეობა თავისის უყურადღებობით და საქმის ღვთის ამარებაზედ გაშვებით?

ეს კიდევ არაფერი! შეიძლება კაცმა თავის თავს ის მოუტევოს, რასაც სხვას არ მოუტევებს. ამასთან ბევრ სხვა სიკეთესთან, მესხ ეს სიკეთეც სჭირს, რომ სხვის თვალში ბეწვსა ჰხედავს და თავის თვალში მელსაც არა. მაგრამ რას ბრძანებს მესხი ამაზედა, რომ მაგისი ნაქები ‘‘კრებული,, ამ ორი წლის განმავლობაში მარტო შვიდი წიგნი გამოვიდა ოცდა ოთხის მაგივრათ? რათ დაიდუმა მესხმა იმ ყოვლად მასხარა და სასო-წარკვეთილს განცხადებაზედ, რომელიც გამოსცა ‘‘კრებულმა,, ‘‘დროებისავე,, ფურცლებზედ, რომლითაც აცხადებდა, რომ ‘‘კრებული,, იმიტომ არ გამოდის თავ თავის დროზედ, რომ ხვანდელი სხვაგან წავიდაო. წარმოიდგინეთ იმ ჟურნალის ღონისძიებას, რომელიც ერთს თანამშრომელზედ არის დამოკიდებული და ისიც იმისთანაზედ, როგორც ხვანდელი! მაგრამ რათ დაიდუმა მესხმა? სთქვით ეხლა, ამ ერთს შემთხვევაში მაინცა ჭეშმარიტი, უფალო მესხო, რა იყო მიზეზი, რომ ამგვარს ‘‘კრებულის,, უგვანებაზედ დაიდუმეთ? მაგრამ ვაი შენს მტერს, რაც თქვენ არა შემთხვევაში ჭეშმარიტების მაღვიარებელი არ იყვეთ. მე წაგჩურჩულებთ, თუ არ გამცემთ. იმიტომ, რომ იქ სიმშილის ნერვების.... სხვას თქვენ მიხვდებით.

ამგვარად ‘‘დროების,, უსინდისოდ და სიწამხდრით მოქმედებამ იქამდის მიაღწია, რომ იმან ამართა დროშა დევნილებისა ურიათაზედა და თითქმის რომ ჰქადაგებდა ჯვართა გამსვდრებასა. 1871 წ. მე 31 №: ეს გაზეთი ჰფშოთავს და ჰღელავს ურიებზედ, რომ ისინი არიან მთელი ქუთაისის დამღუპველნიო რომ ‘‘სულ თავი და პირველი ადგილი უჭირავთ იმათო,, შემდეგ შესძახის ‘‘დროება,,.

"იმედი გვაქვს, რომ მართებლობა მიაქცევს ყურადღებასა და თუ დაგვიანდა, მაშინ თვით ქალაქის მცხოვრებნიც ეცდებიან, რომ "რათიც" იქნეს შეაგონონ ურიებს ესლანდელის მახის მტრულისა და უსჯულოების სიცუდეზედ გამოცვალონ მათ დღევანდელი მათი მოქმედების გზა.

ბოლოს ათავებს ამგვარის მუქარით.

'აქ ურიებზედ გაკვრით ვილაპარაკეთ და თუ საჭირო იქნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან უფრო ვრცელი და უფრო საფუძვლიანი სტატიით დავამტკიცოთ, თუ რა ვნებას მოაქვს ჩვენის ხალხისთვის ამათი მორწმუნე (ნუ თუ ურიების ამათი მორწმუნებს ამ "დროებას,, ამათ მორწმუნებას ჰმეტობს?!) და გაუნათლებელ ებრაელებს.,,

რასაკვირველია, ჩვენ ბევრი რამ გვეთქმოდა ამაზედ, მაგრამ რათგან თვით ერთმა "დროების,, თანამშრომელთაგანვე საკმაოდ დაამტკიცა ამგვარი "დროების,, უშვერება, ჩვენთვის საჭირო აღარ არის ეს ბაასი. მაგრამ წარმოიდგინეთ, ის გაზეთი, სადაც ერთსა და იმავე საგანზედ ჰოსაც იძახიან და არასაც; სადაც სრულიად ერთი ერთმანერთის წინააღმდეგ აზრებს ავრცელებენ,—რა უნდა ჰქნას აქ მკითხველმა, რომელს დაუჯეროს?! ან რა უნდა იფიქროს მკითხველმა: მთელს გაზეთში ფულს მართმევენ და ნასყვარს თითქო აძლევენ, რომ ტყუილიაო!

დასამტკიცებლად ამ აზრისა, რომ «დროება» არ ათვასებს ჭეშმარიტებას და თავისი მკითხველების აზრის შემუშავებას, მოვიყვან კიდევ მაგალითს. აი რა შენიშვნას უკეთებს თ. აკ. წერეთლის ნაწერებს «დროება» (№ 27, 1871 წ.) «თ. აკ. წერეთელი დაგვპირდა ჩვენ ხანდისხან ფელეტონების და სხვა და სხვა შენიშვნების. გზავნის ამ რუბრიკით: «ცხელ-ცხელი ამბები». ჩვენ სიამოვნებით ვაძლევთ და

მივცემთ ჯვალათაც ადგილს მის ნაწერს, თუმცა ძლიერ ხშირათ ისიც შეგვხვდება, რო ჩვენ მის აზრს არ ვეთანხმებოდეთ ან მის ნაწერს არ თანაუგრძნობდეთ. მკითხველი ამ შემთხვევაში დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ჩვენ სხვათა შორის გვაქვს აზრში ხმის ამოსაღებელი ასპარეზი მივცეთ იმისთანა მწერალს, როგორც აკ. წერეთელია.

ახლა ვკითხამ მე «დროებას», ნუ თუ მაგისი გაზეთი იმიტომ გამოდის, რომ ვისაც ეპრიანება ასპარეზზედ თავის გამოჩენა, გამომსცდრდეს «დროების» ფურცლებზედ? თუ იმისთვის, რომ «დროებამ» უჩვენოს საზოგადოებას, რა არის იმისი სასარგებლო და რა საკნებელი, რა არის ჭეშმარიტება და რა შეცდომილება? ნუ თუ ეს არ ამტკიცებს ცხადად, რომ უფ. «მესხი» უფრო აივასხებს მკითხველების ჯიბეს, ვიდრე იმათ სარგებლობას!?.... თუმცა დაჭხედე ამ ნიჭიერი მწერლის (აკ. წერეთლის) დაცემას, რომ სერგეი მესხი იმას აზრებს უწუნებდეს!

ამგვარ სიკეთეებთან, «დროებას» ერთი ასირებული ზნეცა სჭირს; საკვირველათ უყვარს ფილოსოფიური სჯა და ბაასი, უყვარს უცხო ქვეყნების გარემოებაებზედ სჯა, და საცოდავ მკითხველს, რომელმაც არ იცის ეს გარემოებანი, მეტი რა ჩარა აქვს, რომ არ დაუჯეროს. აი ერთს ადგილას როგორ ებაასება «დროება» თავის მკითხველებს.

«იქაურ მკითხველებს (ესე იგი განათლებული ქვეყნების გაზეთის მკითხველებს) და გაზეთებ შუა ისეთი გაწყობილებაა, რომ მკითხველი თავის გაზეთის მეგობარი, დამრიგებელი, თვალის ამხილველი და ხელმძღვანელია.» (№ 21, 1870 წ.)

არ შეიძლება ერთი გაზეთი მაინც არის გვიჩვენოს «დროებამ» რომელიც არის თავის მკითხველების ხელმძღვანელების ქვეშ და მკი-

თხველები უსინჯავდნენ თვალებს. მაშინ, ვკითხავთ «დროებას,» რი-დასთვის, ან ვისთვის გამოდის გაზეთი, თუ კი მკითხველები არი-გებენ, უხელენ თვალებსა და ახელმძღვანელებენ? ჩვენ გვეგონა, რომ გაზეთი იმიტომ გამოდის, რომ თითონ იყვეს ხელმძღვანელი დამრიგებელი და თვალის ამხელი მკითხველისა და აქ «დროება» გვარწმუნებს, რომ განათლებულ სახელმწიფოებში ასე არ არისო. უთუოდ «დროებას» ჰგონია, როგორც თითონ უჭირს საქმე, რომ ყველა აქია ბაჭიას მჯღაბნელის აზრები მიიღოს სახელმძღვანე-ლოდ, ისე ყველა გაზეთებს არამც თუ უჭირდეს, კიდეც ჰსარგებლო-ბდესო, მაგრამ მე გარწმუნებ მაგის მკითხველებს, რომ მაგვარი გა-ზეთი ერთს თვესაც ვერ შეინახავს რიგიანს ქვეყანაში თავს.

ამავე ნომერში ასე სწერს ‘‘დროება,,.

‘‘სხვა ქვეყნებში, გამიგონია, ასე სცხოვრებენ თურმე, რომ ყო-ველი კაცი თავის ქონების გვარად ზრდის თავის შვილებსა, და სირ-ცხვილად არავის მიაჩნია მილიონის პატრონზედ ნაკლები ფულის ხარ-ჯვა და პრანჭიაობა,,, თქვენ ალბათ უნდა იფიქროთ, რომ ჩვენში ზრდიან შვილებს ქონების გარეისად და ამითი პრანჭიაობდნენ. ჯერ ერთი ეს, რომ რა კარგია, თუ სხვაგანაც ასე ეგულება ‘‘დროებასა‘‘, რომ ყველა ქონების დაგვარათ ზრდიდეს შვილსა და არა ისე, რო-გორც ამას ჰსაჭიროებს შვილის გარემოება. მეორეც ეს, რომ სად არის ჩვენში ამგვარი პრანჭიაობა და აშუღლობა ღარიბებისა მილიო-ნერების თანასწორად შვილების დაზრდისა. ანუ თუ ეს ასე იყვეს, ნუ თუ არის ეს საძრახისი და არა საქებარი?

ჩვენდა სამაგალითოდ ‘‘დროებას,, ამავე ნომერში სხვათა შო-რის მოჰყავს. ‘‘უშრომოთ იქ მარტო იმ პირებს ზრდიან, ვისაც მა-მაპაპური სიმდიდრე და ქონება უშრომოთ ცხოვრების და მუდამ ქეიფის წევის ნებას აძლევს,,

ჩვენ ყოველთვის ასე ვფიქრობდით, რომ ყოველი რიგიანი კაცის საქმე ის არის; გინდა მამა-პაპეული მილიონები ჰქონდეს, გინდა მამა პაპით ღატაკი ყოფილიყოს, რომ შრომით დაზარდოს შვილები და ასწავლოს შრომა. მაგრამ ‘‘დროება,, თავის მკითხველებს არწმუნებს, რომ განათლებულს ქვეყნებში ასეაო, რომ მდიდრები შრომაში არ უნდა იზრდებოდნენ და შრომასა არ უნდა სწავლობდნენო. მართალია, იქნება ამგვარი ლტოლვილება არის დაწინაურებული ქვეყნების უშვერს მდიდრებშიაც, მაგრამ უშვერების მოქმედება, ეს უშვერები გინდა განათლებულ ქვეყნებს ეკუთნოდნენ, გინდა გაუნათლებლებს, ჩვენთვის მაგალითი და მისაბაძი არ არის. ამის გამო ურჩევთ აქაც ‘‘დროების,, მკითხველებს, რომ არ დაუჯერონ ამ გაზეთს, რათგან არ უწყის, რას იტყვის.

ამავე ნომერში შეხვდებით ამგვარს ღრმა და საკვირველს შესწავლილს აზრსა. ‘‘ჩვენში კაცისთვის საკმაოა მხოლოდ ერთი ქალის ჭკუა და ხასიათი გაიცნოს: იმას დარწმუნებით შეუძლიან იფიქროს, რომ კარგათ იცნობს ჩვენებური ქალების უმეტესს ნაწილს,,.

მოდი და ნუ დაუჯერებ ასლა დრეჩიაშვილსა, რომ სერგეი მესხი არის ჭკვიანი კაცი.

შემდეგ აქვე ავრცელებს ‘‘დროება,,.

‘‘თუ ასეა და ყველა ქალი ერთს კალაპოტზეა ჩამოსხმული, თუ ყველა ერთნაირად უსაქმოდ, გულხელდაკრეფილი უნდა გვიჯდეს შინ თუ ყველაზედ ერთნაირად ჯიბის დაუკითხავად უნდა ვისარჯოდეთ და და სხვა.,,

ჩვენ კი ასე გვეგონა, რომ ჩვენში სულ სხვა და სხვა ფერი ქალის მეთქი: ავიცა და კარგიც, ჭკვიანიცა და უგუნურიც. მხნეცა და მცონარეც, ლამაზიცა და მახინჯიც. ‘‘დროება,, კი გვარწმუნებს, რომ სულ ერთნაირები არიან, ერთი რომ გაიცნო სხვებიც გეცოდინება რაც

აჭიან, ყველანი ერთის კალაპოტზედ არიან ჩამოსხმულნიო. ასე, რომ ერთმა უცხო ქვეყნის მოგზაურმა ჟანდაკიანით სოფიო რომ გაიცნოს საკმაოდ ქართველი ქალების გასაცნობად: შეუძლიან დასწეროს თავის სამგზავრო წერილებში: ყველა ქართველი ქალი არის ცხვარი, მოჭმული, გიჟი, ცუდი სენისაგან დაფშული, ფეხშიშველა....... და რუსის სალდათების მოყვარული და მაურად ან ერთ ტრიცატკას ოდკად ვისაც უნდა მიჰყიდის თავს.

ეს ის ‘‘დროება,, გახლავთ, რომელიც ხშირად ჰქადაგებს ქალების ემანსიპაციას. საწყალი ქართველი ქალები!

ამავე ნომერში, სტატიაში ‘‘მნათობს,, კი რას ამბობს ‘‘დროება,,.

‘‘მნათობი,, იმ გარემოებას უნდა დაეფიქრებინა, რომ ეს მშვენიერი ჭეშმარიტება, რომელსაც დღეს გაბრიელ ეპისკოპოზი ქადაგებს ჩვენში, ათი ათასჯერ გამოუთქვამთ პირველ მამამთავრებს და ზნეობის მასწავლებლებს და რა მიზეზია, რომ ეხლა კიდევ ხელმეორედ გამხდარა საჭიროდ მათი წარმოთქმა? ბოკლისა და დრეპერის თაყვანის მცემელ ჟურნალს უნდა სცოდნოდა, რომ ხალხის ზნისა და ჩვეულების შეცვლაში ან გაუმჯობესობაში უმთავრესი გავლენა იმ ხალხის მდგომარეობას და დაწყობილებას აქვს. იმას არ უნდა დავიწყებოდა, რომ ხალხის ზნეობით აღზრდისთვის ქადაგებების გარდა, სხვა რამეც საჭიროა, და ეს ‘‘სხვა რამე,, იმაში მდგომარეობს, რომ ზნეობის კანონი დამყარებული *იყვეს კაცის ბუნების* თვისებაზედ, *და მიზნად ამ ბუნების დაკმაყოფილება ჰქონდეს*; იმას ისიც უნდა გახსენებოდა, რომ ამ ბუნების დაკმაყოფილებისთვის აუცილებლად საჭიროა ზოგიერთა საზოგადო ჩვეულებების შეცვლა... (მაშ რაში მდგომარეობს ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოსისა?!) ერთის სიტყვით, ‘‘მნათობს,, უსათუოდ უნდა ჰქონოდა აზრში ის ჭეშმარიტება, რომ საზოგადოების ზნეობითი აღზრდა საზოგადოების მდგო-

მარეობის გაუმჯობესობას მოსდევს, და უამისოთ სრულიად შეუძლე-ბელია.,,

ჯერ ერთი ეს, რომ ვისაც წაუკითხავს გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი, ყველანი თანხმანი გახდებიან, რომ ეს ქადაგებანი არიან დამყარებულნი კაცის ბუნებასა და იმისი მოთხოვნილებაზედ და არიან მიმართულნი ამ აზრზედ, რომ დააყენონ კაცი იმ გზაზედ, რომე-ლიც ასწავლის ამ ბუნების საჭიროების დაკმაყოფილებას. რასაკვირ-ველია გაბრიელ ეპისკოპოზი რომ ქადაგებდეს სხვა მქადაგებლებივით ცარიელ უსაზო და უმიზნო სიტყვებს, მაშინ ამას ქადაგებას არ ექ-ნებოდა ლიტერატურული მნიშვნელობა, მაგრამ ის ქადაგებს სწორედ იმას რასაც ასწავლის ეხლა ხალხს დაწინაურებული ლიტერატურა ევროპის ხალხებისა. თუ ‘‘დროება,, იტყვის, რომ არც იმ ლიტერატურასა აქვს ხალხის წარმატებაზედ მნიშვნელობაო, მაშინ გაბრიელ ეპისკოპოზსაც ეძლვას ეს მნიშვნელობა ბრალად. მაგრამ თვითონ ამ შემთხვევაში რი-ღას მოელოდა ‘‘დროება,,?! როგორც გაბრიელ ეპისკოპოზს არა აქვს არა ვითარი ღონისძიება, რომ მატერიალური წარმატება მისცეს ხალ-ხსა, ეგრეთვე ‘‘დროებას,, რაც შეეხება ხალხის სწავლებას და წრთვ-ნას ეხლანდელი ‘‘დროება,, ფეხის ნაცვლად არ გამოდგება გაბრიელ ეპისკოპოზის ცარიელ სიტყვებთან და ცუდ საბუთებთან. თუ ამას იტ-ყვის ‘‘დროება,, რომ ჩვენ ვასწავლით ხალხსა როგორ მიაღწიოს კეთილდღეობამდის და მატერიალურ გაუმჯობესობამდისაო, მაშინ ჩვენ მოვთხოვთ ‘‘დროებას‘‘, რომ დაგვიმტკიცოს საბუთებით, რომ გა-ბრიელ ეპისკოპოზიც არ ასწავლიდეს ამას ხალხს და არ უჩვენებდეს ამის გზას. მაშ რა იყო მიზეზი, რომ ‘‘დროება,, ამგვარად ამხედრ-და გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებების ქებაზედ?! მიზეზი ეს იყო; რომ უნდა გამოეჩინა ‘‘დროებას,, თავისი ცოდნა და ეთქვა, რომ ბოკლი წაგვიკითხავსო.

რომ გვქონდეს დრო და ადგილი მე უჩვენებდი „დროებას,, ბოკლი რა ზნეობის ქადაგებასა და დარიგებაზედაც ამბობდა შესახებ სალოსების წარმატებისა და არა ამგვარებზედა, როგორიც არის გაბრიელ ეპისკოპოზის ნაწერნი. კარგს მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. მაგრამ ჩვენ მრავალგან დავამტკიცეთ, რომ „დროებას,, კაი გაგონება მცირათა ჰქონია.

რომ სწორედ „დროებას,, თავისი ბოკლისა და დრეპერის წაკითხვა უნდა დაეკვეხნა მკითხველთან გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებაზედ შენიშვნებით, ამას ეხლავე დავამტკიცებ თვით ამავე სტატიიდამ „დროების,, სიტყვებით.

„ჩვენ საზოგადოებაში, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრი ცუდი ზნე და გრძნობა მეფობს; ჩვენი ლიტერატურის ვალია დაანახოს საზოგადოებას, რომ ეს ზნე და გრძნობა მართლა ცუდი და საზიზღარი რამეა; ამისი ვალია, უპატიოსნო და ხალხისთვის მავნებელი მოქმედებების შეზიზღება და მორიდება ჩანერგოს საზოგადოებაში და ასწავლოს მამულის და მახლობლის სიყვარული და დახმარება,,.

ახლა გკითხავთ, რომ რატომ მოხდა, რომ ერთგან ამგვარი აზრები სასარგებლონი არიან და „დროება,, ასწავლის, რომ ლიტერატურა ასე მოიქცეს. და მეორეთგან ამბობს, რომ ამათ არავითარი სარგებლობა არ მოაქვთო. ნუ თუ ყოველს თავის ქადაგებაში სულ ამ აზრებს არ ადგია გაბრიელ ეპისკოპოსი?! დაფიქრდით უფ. მესხო. ან იქნება არ წაგეკითხოთ და ისე გაგიტაცათ ბოკლის წაკითხვის გამოჩენის სურვილმა, რომ წაუკითხავად სჯით ამ ქადაგებებზედ. მაშ გირჩევთ წაიკითხოთ და [illegible], თქვენი დანაშაული საქვეყნოდ. მაგრამ......

ახლა უგდეთ ყური ამავე სტატიაში როგორც უხსნის „დროება,, თავის მკითხველებს რა არის პოეზიაო.

‘პოეტური თხზულება წაკითხვის დროს, თუ კაცს ჟრუანტე-ლის დავლით თმა აუდგება ტანზედ და ცოცხლათ გამოხატულს აზრი წაკითხვის შემდგომ თვალს აღარ მოშორდება, იცოდეს ‘‘მნათობის,, რედაქციამ, რომ ის თხზულება სწორედ პოეტური თხზულებაა, ლექსი იქნება, თუნდა პროზად დაწერილი. თუ არა და, ნამდვილად იცოდეს, რომ ამ თხზულებას პოეზია სიზმარშიაც არ მოსჩვენებია.,,

მე არ მეგულება დედამიწის ზურგზედ ბატონის ‘‘დონ ჟუან-ზედ,, უკეთესი პოეტური თხზულება. თუ არა და თვით ‘‘დროებამ,, აარჩიოს რომელიც ჰსურდეს და წააკითხოს თვით უპირველეს მგრძნობელობიანს გასათხოვარს ქალს ორ სანდო მოწმესთან, თუ რომელიმე პოეტური თხზულება ტანში ჟრიანტელს ვისმე მოჰგვრის (ოღონდ ამ დროს მესხი შუშას ან ქვას ნუ დააღრაჭუნებს, რომე-ლიც, ყველა დამეთანხმება, რომ არ არის პოეზია და პროზაზედ უფ-რო პროზაა) და თავზედ ბალანს აუყენებს. მაშ არა ყოფილა პოე-ზია ქვეყანაზედ რაღა! და ამას ‘‘დროება,, უქადაგებს იმ ჟურნალს, რომელიც იცის, რომ ამას მინჯში უდგია და ყოველს შეცდომაზედ დაიჭერს. მაშასადამე აქ ‘‘დროება,, ცდილობს სიბრთხილეს და იჩენს ყოველს თვის ცოდნას, რომ არ გაებას წინააღმდეგის მახეში; და აქაც, ამ დიდს მეცადინეობაში, ვარდება ამ საშინელს უშვერს შეცდომილე-ბაში, და სხვაგან რა უნდა იფიქროს ამაზედ მკითხველმა, სადაც იმედი აქვს ‘‘დროებას‘‘, რომ დარჩება თავისი წინააღმდეგებისაგან შეუნიშნავი?! თვით ამ უბრალო საგანში, რომელიც ყოველი უბრალო სახელმძღვა-ნელო წიგნიდამ ამოეღო უფრო მოსწავლილი ახსნა პოეზიისა, ‘‘დრო-ება,, გვიჩვენებს თვის ყოვლად შეუკავებელს უშვერებას და თავისი მკითხველებისადმი სრულს დაცინვას და დამცირებას.

მაგრამ არც არის საკვირველი ამგვარი ‘‘დროების,, დაცემა. იგია

იხეთ ვინ არიან მაგისი თანამშრომელნი!... რა ჟურნალი, ან რა გაზეთი უნდა იყვეს ის, სადაც დიმიტრიძეებისთანას ალაგი ექნებათ მოღვაწეობისა და მესხები რედაქტორები იქნებიან. ეს გახლავსთ ის დიმიტრიძე, რომლისა გარჩევისაგან ღმერთმა ყოველი ნიჭიერი ქმნილება დაიხსნას. ერთათ ერთი ნიჭი აქვს ამ დიმიტრიძეს, რომ ყოველს ნიჭიერ თხზულებას ისე გააუნიჭოებს, რომ ვისაც ის თხზულება არ წაუკითხავს, ხელს აღარ მოჰკიდებს. რასაკვირველია, რომ „ჯიბრობისთანა,, და „მელადუმეებისთანა,, თხზულებანი რომ არჩიოს კიდევ მაგის ნიჭის შესაფერია და რაც უნდა ეცადოს იმაზედ კიდევ უფრო ვეღარ გააუნიჭოებს; მაგრამ სამწუხაროა, რომ ის ხან და ხან თავის უნიჭო კალამს წაურევს ხოლმე რიგიან ნაწერებშიაც. აი მაგალითათ რაში მდგომარეობს დიმიტრიძის გარჩევა, რომლითაც თავის ქვეყანაში „დროება,, სრულიად არწმუნებს თავის სიტყვებზედ მკითხველებს. „სადღეგრძელოზედ უნდა ვსთქვათ, რომ იმათ, ვისაც არ შეუძლიანთ გარეგანი შესხმულობისა (ფორმისა) და შინაგანი თვისების ერთმანეთში გარჩევა, იმათ ჰგონიათ, რომ ეს თხზულება არის რუსული პოეტის ჟუკოვსკის პოემის მიბაძვა. ჟუკოვსკის პოემა ითვლება რუსულ ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებათ და იმისი წაკითხვა თავიდამ ბოლომდინ ძნელია იმ მიზეზით რომ ამ გაგრძელებულ პოემაში აზრი ნაკლებად სუფევს. (თუ უაზრო პოემების წაკითხვა ძნელია, ამაზედ უფ. ფაზელს მაინც დავკითხეთ, რომელმაც არამც თუ წაიკითხა და კიდეც გადათარგმნა დაბეჭდა იმ ჟურნალში, სადაც თქვენ ისე თავსაჩენად მოღვაწეობთ, „დემონი,, ლერმანტოვისა.) „სადღეგრძელო,, თ. გრიგოლ ორბელიანისა სავსეა აზრითა და გრძნობით, ზოგიერთა სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგან გრძნობას და მოჰყავს გრძნობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი. ზოგიერთა ადგილი ამ თხზულებისა

39018

ზეპირად დასასწავლებელია ჩვენთვის, ზოგნი კი იძახიან რომ ეს პოემა არის მიბაძვა რუსის პოეტის ჟუკოვსკის პოემისა! (ეს ხომ წი-გნაცა სთქვა, მაგრამ ძალიან გულითა ჰსურს, რომ ასრე არ იყვეს.) არა ეს თხზულება მხოლოდ ფორმით ემსგავსება ჟუკოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული.» (უფ. დიმიტრიძე, შინაარსიც რომ ჟუკოვსკისა იყვეს, მაშინ მიბაძვა კი აღარ იქნება თარგმანი იქნება).

ბოლოს შენიშვნით ათავებს ამ გარჩევას. აი ის შენიშვნა.

«ამასთან უნდა დავუმატოთ, რომ თ. გრ. ორბელიანის თხზულებაში არის ორიოდე ადგილი, სწორედ ჟუკოვსკის შესაფერი, სუსტი. მაგრამ, и солнце не безъ пятенъ.

ჩვენც ისლა დავუჯერებთ, რომ კარგია „სადღეგრძელო“, თუ გინდათ ღმერთსაც შემოგვფიცავთ; არც მაშინ დავიჯერებთ, რომ კარგია და ჟუკოვსკის მიბაძვა არ არის. თუ გინდათ მესხსა და სკანდელსაც დაიმოწმებს. ხათაბალაა! სხვა რაღა გინდათ მაშ?!...

დიაღ დიმიტრიძე და მესხო. ჩვენ კი გვჯერა თქვენი ფიცი, რომ სადღეგრძელო კარგია, მაგრამ ბაქერაანთ ბეჟერს რომ არა სჯერა. ჩვენ გვჯერა იმიტომ, რომ წაგვიკითხავს ეს თხზულება, მაგრამ როგორ დავარწმუნოთ ის მკითხველი, რომელსაც არ წაუკითხავს, აბა რა არგუმენტებით დაამტკიცეთ, რით ჩააგონეთ მკითხველს ამ თხზულების სიკეთე? ცარიელი სიტყვით ხომ ეხლა ზ ე ს ტ ნ ი ა დ უ-ხ ა ნ ჩ ი კ ე ბ ს ა ც არა ვინ უჯერებს. აბა წარმოიდგინეთ, რომ ესევე სიტყვები გადვიტანეთ, უფ. მესხო, თქვენს თხზულებებზედ, ეს სიტყვები ამ უნიჭოებებსაც ისე ადვილად მიეკერდება, როგორც ნიჭიერს „სადღეგრძელოს“. ან წარმოიდგინეთ, რომ ისევე დიმიტრიძის სიტყვები გადვიღეთ „მელაღუმეზედ“, რომ „მელაღუმე“ ზეპირად დასასწავლებელია, რომ მელაღუმე უღვიძებს კაცს ერთს უმაღლეს

გრძნობათაგანს და მელაღუმე არის, солнце, но не безъ пятенъ. რა იქნებოდა, რითი დარწმუნდებოდა მკითხველი, რომ ეს უნიჭო თხზულება სწორეთ კარგი და რიგიანია! აი ამგვარათ სთითხნით თქვენი უწმინდური ხელით და უკადრკავთ ღირსებას. ხშირად მართლაც და რიგიანს თხზულებას, როგორც მაგალითად "სადღეგრძელო,,.

მაგრამ როგორიც ერი, ისეთი ღვდელი. წინათვე რომ არა სცოდნოდა მესხს უნიჭობა და შეუძლებლობა დიმიტრიძისა, ასე არ დაუსაღოვდებოდა. მაგრამ წინათვე სცოდნია დიმიტრიძის ეს აღსრუბა. აი რას ამბობს უფ. კრიტიკოსი, რომელისაც ჰგონია, რომ გასხსრიკოს ნაკისრი თხზულება. «ჯიბრზედ ბევრი ლაპარაკი არ მომინდება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე გასხსრეკისა არა ვიცირა,,, (№ 14; 1871 წ.) კიდეც იმიტომ გამოდის ყოველი დიმიტრიძის გარჩეულება კარგათ. "დროება,, ამგვარ ნაწერებს სუნით ქებს.

ამასთან "დროება,, არც პატიოსნებაზედ იშლის ლაპარაკს. ამავე ფელეტონში, დიმიტრიძე თხოულობს, რომ ყოველი მწერალი უნდა იყვეს თავის კერძო ცხოვრებით წინაშე საზოგადოებისა პასუხის გებაში და უმეტეს სხვათა მწერალთათვის კალია კერძო ცხოვრებით პატიოსნება. ამასთან ის აქვე აღვიარებს, როგორც პატიოსანი კაცი, რომ ის იმ ჟამად არარც იცნობდა უფ. გოგი წერეთელს და არც მეგობრობა ჰქონდა. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ დიმიტრიძის პატიოსნობაზედ, მაგრამ იმ წუღულს ბაფურაანთ ბებერს კიდევ არა სჯერა, რომ კაცმა, რომელმაც უარჰყო ბეჭდვითი მეგობრობა და ცნობა რომელისამე უპატიოსნო კაცისა, და შემდეგ ისევ დაუმეგობრდა ამასა, რომ თვითონაც ეს კაცი იყვეს პატიოსანი. ანუ უკეთა ვსთქვათ, კაცი ერთი უპატიოსნო კაცზედ ცნობისა და მეგობრობის უარსა ჰყოფდეს და მეორე სხვა უარყოფს უახლოვდებოდეს და ტაკიმასხარად უხდებოდეს.

მაგრამ ვგონებ არც ის იყვეს პატიოსნური, რომ ვინც რამე რიგიანად არ წაეკითხოს და უშვრებოდეს კრიტიკას და ან აქებდეს და ან აძაგებდეს წინაშე ამ თხზულებისა უცნობი საზოგადოებისა. უფ. დიმიტრიძე ამ თავის საკვირველს რეცენზიაში ამბობს, რომ უფ. მესხს (რედაქტორს, რომელმაც აქ საგანზედვე დასწერა სტატია) არ ეთანხმებით, რომ ჯიბრი ეკუთვნოდეს ბატონყმობის დროსაო. უფ. მესხი აქვე, შენიშვნაში უჩვენებს ცხადს საბუთს, რომ არ წაუკითხავს რიგიანათ დიმიტრიძეს "ჯიბრი,, და სთხოვს, რომ ნახოს მეთექვსმეტე გვერდი "ჯიბრისა,, სადაც სწერია, რომ ეს თხზულება ეკუთვნის ბატონყმობის დროსაო. ამასთან უფ. დიმიტრიძესა ვკითხავთ, მაშ თუ ამ ღირსებასაც ართმევდა "ჯიბრს", სხვა რაღა ნახა ამაში სეირი? მაგრამ აქაც პატიოსნებით თავის გამოჩენა მოისურვა. იმას ჯიბრის ქებით უნდა დაემტკიცებინა ავტორისათვის, რომ თუმცა მე და შენ ერთმანერთს აღარ ვიცნობთ და მეგობრობა აღარა გვაქვსო, მაგრამ იქამდინ პატიოსანი ვარ, რომ შენ თხზულებაზედ შენს ჯავრ არა ვყრილობ და ამითი გიმტკიცებ, რომ სხვაიურევაც შენთან პატიოსნება მომიძღვისო.

რასაკვირველია, მკითხველი იტყვის, რომ თუ კი უფ. რედაქტორმაც შენიშნა, რომ ავტორი არჩევს თხზულებას სრულიად უცოდნელად, რაღათა ჰბეჭდიდა! მაშ რა ექნას, რომ არ დაჰბეჭდოს, რომ არც თითონ შეუძლიან უკეთესი და ვერცარავინ უკეთესი შეუთვისებია. მეორეც ესა: განა მარტო ეს არის მაგალითი, როგორც ზემოთაც უჩვენეთ... "დროება,, მხოლოდ ამგვარებით სულდგმულობს.

დრო და ადგილი რომ გვაძლევდეს ნებას და კიდეც რომ ღირდნენ ეს და ამგვარი სტატიები, მე ბევრს კურიოზებს უჩვენებდი ამათ შესახებ მკითხველსა, მაგრამ მე არა მცალიან ამათთვის და მინდა დროით მოვიდე იმ ადგილებამდინ, სადაც "დროება,, ცდილობს

დაკვირვებით შეეხოს იმისთანა საგნებს, რომელთაც მართლაც დი-
დიდი გავლენა აქვთ კაცთა ცხოვრებისა და გარემოებაზედ. ამის გა-
მო თითო ორიოდა სიტყვას კიდევ ვიტყვი, რომელთამე ამგვარით შე-
ვანით სტატიების და დროების მოქმედებაზედ და შემდგომ შეუდგებით
სხვა უფრო საჭირო საგნებს.

ჩვენ, როგორც ერთს ამგვარს კურიოზზედ არ შეგვიძლიან არ
უჩვენოთ უფ. სკანდელის ფელეტონებზედ და მომეტებულად სტა-
ტიაზედ "ჩემი სამასხოვრო წიგნი დამზედ", რომელსაც უჭირავს
თითქმის მთელი დროების ერთი ნომერი (№ 13, 1871 წ.) ამ
თხზულებაში ნახევარზედ მეტს ადგილს თითქმის ამტკიცებს, რომ
გაზაფხულზედ უფრო კარგს აზრზედ სდგას კაცი, ვიდრე სხვა დრო-
სათ; მზიან დღეს უფრო კარგზედ ვიდრე ნისლიანსათ. (საწყალი
ინგლიზები, სადაც სულ ნისლი დგას: იმათ თავში სკანდელის თეო-
რიით, არ გაივლის თავის დღეში კარგი აზრი. გიხაროდესთ ბუშმენე-
ბო და გოტენტოტებო: თქვენში ნიადაგ კარგი მზე დგას და სკანდე-
ლის თეორიით კარგს აზრზედ იდგებით, რომელიც კიდეც ეტყობათ
იმ წარმატებით, რომელსაც დაჰსარბებია «დროებაა» და ელტვის გა-
დეცა.) შემდეგ ამ უზარ-მაზარ ფელეტონურ სტატიაში გადადის ვიდა-
ცა ქალების გულის კვნესაზედ, რომ ესლა კარგს აზრზედა დგევხართ
და ბოლოს ვინ იცის რა მოსდებს თქვენს თავსაო. შემდეგ აქებს სა-
შინლად ერთს ვიღაცა სტუდენტ ქალს და აჭყავს ცაში. მერე ეს ჭკვი-
ანი ქალი ირთავს სულელ ქმარს წინააღმდეგ მშობლების აზრისა, თა-
ვისის სურვილით. მერე ეს საძაგელი კაცი რამდენიმე ხნის განმავ-
ლობაში ისე ასდენს ამ ქალს, რომ სულ მჩვრათა ჰხდის. (წარმოიდ-
გინეთ ის ცამდინ საქები ჭკვიანი ქალი, რომელსაც ერთი უხეირო
ფასტი რამდენსამე ხნის განმავლობაში ასე წაახდენს. ღმერთო შენ დაი-
ხსენ ურჯული რიგიანი—«დროების» ქებისაგან!) შემდეგ გადადის ავა-

ტორი სხვა და სხვა ამგვარ ჭკვიანურ საგნებზედ და ძლივს ეძლევა დასასრული ამ სტატიის.

ამავე ნომერში ჰპოვებთ ნიმუშს «დროების» ბაქიაობისას. აქ უფ. სკანდელი გვითხრობს, გაჯავრებული მოსე ქიქოძისაგან, უკლა «მნათობის» თანამშრომელებს პოლემიკაში, რომელზედაც «დროებამ» მიიღო პასუხი: მობრძანდით, და ამ მობრძანდიზედ კი «დროებამ» სკანდელიათურთ დაიდუმეს.... რასაკვირველია იმ აზრით, რომ არ დაიმცრონ ლიტერატურული ღირსება.

ამასთან წარმოიდგინეთ ის უნიჭო კორესპონდენციები, რომლითაც იტენებოდა «დროება» და თქვენ თვალ წინ წარმოგიდგებათ, რაც სარგებლობაზედ იდგა ეს გაზეთი. იქამდინ მიაღწია ამ კორესპონდენციების უნიჭობამ და ურიგობამ, რომ ერთი „დროების" თანამშრომელთაგანი იძულებული იქნა მიეცა იმათთვის ინსტრუქცია, თუ რა და როგორ უნდა ეწერათ (№ 1,1871 წ.)

აი კიდევ ერთი ნიმუშიც «დროების» სჯისა. (№ 10,1871 წ.): ყოველ ლიტერატურულ თხზულებაში უნდა იყვეს უთუოდ გამოსატული კაცი თავის ღირსებით და ნაკლულევანებით; თავისი საქმეებით და სხვადასხვა ხასიათით, თავის სასარგებლო, ან ბოროტი მოქმედებით.

ასე, რომ «დროების» სიტყვით არ არის ლიტერატურული თხზულება გოგოლის „мертвыя души", მოლიერის თხზულებანი; შექსპირისა და სხვანი, სადაც მხოლოდ არიან კაცის ცუდი მხარენი დახატულნი და კარგნი კი არა. ამგვარ საქმის გაგებას და ამგვარ მსჯელობას ყველგან შეხვდება კაცი, და უნდა თან იკითხო «დროება» და თან კივკიოდეს, რომ ამდენი ...... და ყოვლად გაუგებარი ხალხისად შეყრილან ერთად საწერათა.

ამდენ ჩიკეთუსთან წარმოიდგინეთ ის გაზეთი და იმისი რეცენზენტი რედაქტორი, რომელნიც იღებენ რომელსამე საგანს გასარჩევად

და სწამებენ ავტორს იმისთანა საგნების გაუგებრობას, რომელნიც თვითონვე არ გაეგებათ. მე ბევრგან დავამტკიცე ყოვლად გაუგებრობა «დროებისა» და ახლა მოვიყვან კიდევ თვით მაგათგანვე გარჩეული ავტორებისგნით დამტკიცებულ მაგათ უშვერებას და . . . . . . უფ. ფაზელის ნათარგმნი «დემონი» გაარჩია «დროებამ» და რა გგონიათ, რა ჰპოვა ამის შეცდომილებად, რომ ვითომც არ ისმარებოდნენ ქართულად: ფუშტი კავრობა, უწყვეტი ცრემლები, ბირველები. წარმოიდგინეთ ჯერ ის ქართული გამოცემულების რედაქტორი, რომელმაც არ იცის, რომ ეს სიტყვები ქართულია და ამასთან ის რეცენზენტი, რომელიც ამათზე მეტს ნაკლულევანებას ვერ ჰხედავს «დემონსა» და იმათს თარგმანში. არა თუ ჩვენ გვაკვირვებს ეს, არამედ ეს აკვირვებს თვით მთარგმნელს უფ. ფაზელსაც. აი რას ამბობს თვით ფაზელი ამის შესახებ.

« «დემონის» თარგმანში მე თითონ გამოვსტყუდები, რომ არის ბევრი ამაებზედ დიდად უფრო მძიმე ნაკლულევანებაები, რომლებიც მოჰყავს უ. ს. მ. და რომლებსაც ის უშვებს უყურადღებოდ. მაგრამ განვიმეორებ, რომ ეს უნდა მომხდარიყოს მისი მეტის შებრალების მიზეზით». (№ 20, 1872 წ.) (არა უფ. ფაზელო! ეს შებრალებით არ მოხდა. ეს ჯერ ერთი მოხდა უმეცრებით, რათგან ნანდვილი შეცდომილების შენიშვნა თვით თავიდამ ფეხამდინ შეცდომილებას არ შეუძლიან. მეორეც ესა, თუ იმან ბევრი რამ სხვა შეცდომილებანი არ მოგაწერათ და არ შეგწამათ, ეგ მოხდა იმითი, რომ სწერთ «კრებულში», სადაც სკანდალი... სიმშილის ნერვებთა«. აბა თქვენ გეწერათ «მნათობში» თუ სულ მთლად თქვენც შემცდარად არ გამოგიყვანდათ),

ახლა წარმოიდგინეთ, ვინც ჰბედავს ქართულს ენაზედ ლაპარაკსა?— სერგეი მესხი! «დროება»! მოდი და ნუ გაგეცინება. არა, მხმარებელი თქვენი უშვერი ბაზარსანული სიტყვებისა, თქვენი ტეტიურ-ლვატივუ-

რი რუსული სალაშე რი, ენის პატრონი, მიკვირს, როგორღა ჰბედავთ ენაზედ სჯასა! რომ მოვაცალოთ რამდენიმე «მნათობის» ფურცელიც არის თქვენი ენის გასარჩევად, სომ დავამტკიცებთ, რომ მაღლანდო-ლელმა ოსმა უფრო იცის ქართული, ვიდრე თქვენ, მოთლად ერთიან თქვენის ფალანგიითურთ (გარდა, რასაკვირველია, დიდ მცირედისა).

ახლა გადავიდეთ სწორედ იმ საგნებზედ, რომელზედაც «დროებას» თვის ერთის თანამშრომელით დიდი პრეტენზია აქვს და ცდილობენ ყოველი ჭიფსკა-ფასფსურით ცოდვნის გამოჩენას. «დროება», (რასაკვირველია ჩვენ ამას ცუდ საქმედ არ უთვლით, თუ თითონ რიგიანად მოჰყვანდეთ)—საშინლათა ცდილობს და ცდილობდა გარეულიყო მარაქაში და ეჩვენებინა, რომ ამას როგორც თავისი ხუთი თითი შესწავლული აქვს მუშების ასსოციაციები.

რადგან მე ამ ჟამად არა მაქვს სოფელში ყველა ის ნომრები, სადაც ეგენი ლაპარაკობენ ასსოციაციებზედ, ამის გამო ავიღებ პირველს რომელიც ხელთა მაქვს. გავსინჯოთ «მომსმარებელი საზოგადოებაები სალხისთვის სასარგებლონი არიან თუ არა?», რომელიც იყო დაბეჭდილი «დროების» მე 22 №-ში, 1871 წელსა.

იმ სახელმწიფოებში, სადაც არის ბევრი ფაბრიკები, რასაკვირველია ამ ფაბრიკებს სჭირდებათ ბევრი მუშა ხელი. აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მამეტებულ ნაწილს ამ სახელმწიფოებში, დაბალი ხალხი არ არის მიწის პატრონი. ისინი ან არიან მებატონეების მამულზედ ხიზნათ მდგომნი, ან არა და არიან მოჯამაგირეებივით მებატონეთა ფერმერთა მხლებელნი, რაშიაც იღებენ სამუშაო ფასს და ისე სცხოვრებენ თავის ცოლშვილით. ასე, რომ იქაური დაბალი წოდების ხალხი თავისის ეკონომიურის, ანუ პირადი დამოკიდებულებით სხვაგან არ განირჩევიან ფაბრიკის მუშებთან.

ამგვარ სახელმწიფოებს ეკუთვნის გერმანიაც, სადაც ამ რამდე-

ნიმე წლის წინად ჰმოქმედობდა ერთი გამოჩენილი ურია, ფერდინანდ ლასსალი.

მუშების საძაგელი მდგომარეობა დიდი ხანია აღელვებს ევროპას და ამყოფებს ნიადაგ შიშში. მუშები დიდი ხანია ჰგრძნობენ, რომ ყვე-ლა წოდებათ იომეს თავის სიმართლისათვის და შეიძინეს, რასაც ელტოდნენო და ახლა ჩვენი დრო მოსულაო. ყოველთვის ამგვარად ძლევდა სიცხალს თავის სიმართლის აღდგენისათვის, როგორც ამ ბო-ლოს დროს კომუნის ბრძოლით, საფრანგეთი. მაგრამ რათგან შესა-ფერი მომზადება მუშებს არა ჰქონდათ, ძლევა რჩებოდა და რჩებათ ისევ იმ წოდებათ, რომელთაც ხელთა აქვთ მუშების სული.

რომ ამგვარი აღელვება მუშებისა ერთხელ და ერთხელ არ გა-დასულიყო ზომას და არ მოსწრებოდა ევროპა საშინელს სისხლის ღვრას, რომელიც მოსდევს, თუ მუშებმა ერთად მოიყარეს თავი, შეჰ-კრეს პირი და ასტეხეს ბრძოლა, — დაიწყეს მრავალთ იმგვართ ღო-ნისძიებათ მოგონება, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო, მშვიდო-ბიანად გაეთავებინათ მუშებისა და მეპატრონეების საქმე. ამგვართ პირთ ეკუთვნოდნენ შულცე დელიჩი და ლასსალი.

დელიჩი ჰქადაგებდა და დაიწყო შემზადება ასსოციაციებისა იმ-გვარად, რომ იმათ თავისის დაზოგვილის ფულით, ანუ მდიდართ მე-თანხეთაგან დასმარებულის ფულებით შეედგინათ თითონ თავისი სა-კუთარი ქარხანები და ამითი გაეწიათ კონკურენცია (შეჯიბრებოდნენ) მექარხნეებისთვის, რომელთაც ჰქონდათ ბევრი ფული და რომელნიც მეტად სარგებლობდნენ მუშების გაჭირვებაებით. ამასთან, რომ უზრა-ლოდ ბევრი არა დაჰხარჯოდათ და დაჰზოგებოდათ ფულები, ის ურ-ჩევდა რომ დაეწესებინათ მუშებს იმგვარი დუქნები, სადაც გამგებლათ ჰყოლოდათ თავისივე კაცი. ამ დუქნებს უნდა ჰქონდა ალაგობრივვე თვით შემმზადებლობისაგან მრავლობით ყოველივე, რაც ამათთვის სა-

ჭირო იყო, და შემდეგ ამგვარად მოუხმარებინათ მუშებისთვის. აქ მუშები ჯერ ერთი ეს, რომ რაკი ალაგობრივკე და მრავლობით ერთბაშად ჰყიდულობდნენ თვით შემძხადებლებისაგან, უჯდებოდათ ძალიან იაფად; მეორეც ეს — ჰყიდულობდნენ ხალს საქონელსა, ამას გარდა ამავე დუქნიდამ რაც მოგება რჩებოდათ იყოფდნენ მუშები თანასწორად. ამგვარად შულცე დელიჩი ჰფიქრობდა, რომ ცოტ ცოტათი მუშები შეიძენენ ქონებასა, გადგებიან ცოტ-ცოტათი განზედ; მოიმაგრებენ ზურგსა და გამოვლენ მექარხნეებისა და მეთანხეების იმ სამაგლე გავლენიდამ, რომელშიაც ეხლა არიან. მაშინ, რაკი მრავალთ მუშათ საკუთარი ქარხნები ექნებათ, დანაშთენები შემცირდებიან და რაკი საკმაო მუშა ხელი არ ეყოლებათ, მეტი ჩარა არ ექნებათ სხვა მექარხნეებსა, რომ არ დაელიშოთ თავისი ქარხნები უმუშებოდ, ან წილში შეიყვანენ მუშებს, ან დიდს და ზომიერს შრომის ფასს მისცემენო.

ლასსალმა თავისის მხრით ჰშოვა, რომ ამითი მუშები ფონს ვერ გავლენო და შეუძლებელი საქმეც არისო. იმან დაუმტკიცა უბრალო ბუნების კანონითა და სტატისტიკური ციფრებით, რომ მუშებს არას დროს არ შეუძლიანთ იმდენი ფული მოინარჩუნონ, რომ ამითი ქარხნები დაამართონ და რაც შეეხება იმას, რომ მეთანხეები დაეხმარებიან ფულით, ცხადი საქმეა, რომ თუ ეხეკე მეთანხეები არა ჰხდებოდნენ უბრალს, რომ თავისი სამუშაო ფასი ეძლიათ მუშებისათვის, იმას ხომ უფრო არ იზამდნენ, რომ გაენთავისუფლებინათ ესენი თავისი ხელიდგან.

რომ მუშები ვერას დროს ვერ დაჰზოგვენ ფულს, რადგან ვერ მიიღებენ იმდენს, რომ გადინარჩუნონ დღიური საჭიროებისაგან, ლასალსხალს მოჰყავს ის კანონი გაღებ-მოთხოვნილებისა (спроса и предложенія), რომ რამდენიც უფრო მეტია მომთხოვნი, იმდენი უფრომცირდება გასაღები, გასავალი. მუშები კი ყოველთვის ისე ბევრნი არიან

რამდენიც სრულებით არ ეჭირათ მექარხნეებსა. მუშა არის უღუკმა-პურო და ამისგამო, რომ არ დარჩეს მთლად მშიერი, ისა სთანხმდება სხვებზედ ნაკლებსა, სხვები კიდევ უფრო უკლებენ, რათგან ახლა იმათ ის დღე დაადგებათ, რაც წინანდელთა,—ისე, რომ იქამდინ იკლებენ მუშები ფასსა, ვიდრე დაატყობდნენ, რომ ამაზედ ნაკლები ავიღოთ ისევ მშივრები დავრჩებითო. ამისგამო შულცეს მომხმარებელ და სხვა ასოციაციებზედ ის ამბობს, რომ ვსთქვათ დღეს გაიმართა რამდენიმე მუშების ასსოციაციები და მომხმარებელთა საზოგადოები. ამითი დღეს შემცირდნენ სხვა მექარხნეებისთვის მუშები და იმათ მოუმატეს სამუშაო ფასიო. მაგრამ ეს მხოლოდ დღეის შვებაა და არა სამუდამოო. ბუნების კანონი ისეთია, რომ რაკი კაცი შოულობს საკმაო სარჩოს, მაშინ ის ეტანება ცოლშვილობასა და მრავლობასო. დღეს მუშებმა შეიძინეს საკმაო ფული, სვალ ისინი ამავე ფულების მოწყალებით დამრავლდნენ და გაუჭირდათ ისევ მექარხნეების თავი, მექარხნეები ისევ მოუკლებენ ფასსა, რათგან ეჭირვებათ მუშებსაო. ეგ ის იქნება, რომ ერთი დღე დაძღნენ, და მერე ისევ ძველს მდგომარეობაში ჩავარდნენო. მეორეც ესა, რომ რაკი ახლა მუშები თითონ გახდებიან ქარხნებისა და ფულის პატრონები, თითონაც სხვებს ისე მოექცევიან, როგორც ამათ მექარხნეები და ფულის პატრონები ექცეოდნენო.

ამისგამო ლასსალი ურჩევდა მუშებს სრულიად სხვას და უფრო საფუძვლიანს აზრს. ლასალს ჰქონდა შეძლება, რომ შეესრულებინა კიდეც თავისი აზრი და თუ ეს აზრი შესაძლებელი იქნებოდა შესასრულებლად მაშინ, რაღა თქმა უნდა, რომ დელიჩის აზრები იქნებოდნენ მხოლოდ დამაბრკოლებელნი ლასალის აზრის შესრულებისა, რომელითაც სრულდებოდა ნამდვილი გულის წადილი და კეთილდღეობა მუშებისა. ლასსალს შეეძლო შესრულება ამ აზრისა, თუ არა წამქცეო მა-

ინც იყო ამისი შესრულება, რათგან გერმანიაში იმოდენა მუშა ხალ-ხის ქარხნებისა, რომელიც შეადგენდა დიდს და საშიშს ძალას სახელ-მწიფოში. გატაცებული ამ თავის აზრის შესასრულებლად, რასაკვირ-ველია იმას საფუძველი ჰქონდა, რომ მოეთხოვნა მუშებისთვის, რომ სადაც დიდის საქმის მიწევნა ერთი ხელის გაწვდენით შეუძლებელია, იქ პატარა საქმეები არ უნდა გვაბრკოლებდნენ და პატარა საქმეები დი-დებათ არ მიგვაჩნდესო. ამის გამო ის სრულის თავის ძალით ეწინააღმ-დეგებოდა შულცეს და სხვების სწავლასა, რომელნიც აგონებდნენ მუ-შებსა, ვითომც ამაზედ უკეთესს ისინი ვერას ეწყოდნენ და უძაგებდნენ ლასსალისგნით აღებულს გზასა.

ლასსალი ჰქადაგებდა, რომ სახელმწიფოს ევალია, რომ მუშებს მოსცეს სესხად ფული ქარხნების დასამართავად; შემდეგ ეს ქარხანე-ბი უნდა გადაქცეულიყვნენ საკუთრებად მარტო იმ მუშებისა კი არა, რო-მელთაც ფული ისესხეს და გამართეს, არამედ ყველასი, ვინც ამ ქარ-ხანაში შევიდოდა. მხოლოდ მუშებისა იყო სამუშაო ფასი და მოგება იმ ხნისა, რა ხანსაც თითონ ქარხანაში იყო. და რომ სახელმწიფო არა ბრკოლდებოდეს ფულის სესხით, რათგან დღეს სახელმწიფოს სა-ქმეები შეძლებულ და მდიდართ კაცთ ხელთა არისო, ამისგამო ის ჰქა-დაგებდა საყველთაოდ, რომ სახელმწიფო მმართებლობაში, ყველა სა-ხელმწიფოში მცხოვრებს ადამიანს ხმა ჰქონოდა და თავისი წარმომა-დგენელი ჰყოლოდა, რომლისგამო სახელმწიფო მმართებლობაში შეს-დგებოდა მომეტებული ნაწილი მუშებისა და ღარიბი ხალხისა, რომელ-ნიც არ დაიშურებდნენ არაფერს თავისა გაჭირვებული ამხანაგებისთვის. აი, ესენი წაუკითხავს «დროებას» და თავისებურად აუღსნია და უპო-ვნია, რომ მომხმარებელი საზოგადოებანი არიან სრული უვარგისნი მუშებისთვის.

ჩვენ ზემოთა გსთქვით, რომ ლასსალის აზრების შესასრულე-

ბლად, სწორედ რომ ამგვარი სწავლა დელიჩისა იყო დამაბრკოლებელი და ამისგამო თვით მუშებისათვისაც მავნებელი იმით, რომ მუშები სჯერდებოდნენ ამ მცირე შესუმბუქებას, მაშინ როდესაც იმათ ელოდათ სრული თავისუფლება თავისის გარემოებისაგან, თუ მოჰყოლოდნენ ლასალის სწავლას

მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ «დროება» თუმცა ღმერთმა უწყის მოქტებული ნაწილად ვისთვისის სწერს, მაგრამ საქმეში იმას აქვს ქართული საზოგადოება. ამისგამო განვიხილოთ რამდენად მართალია «დროება» რომ ჩვენთვისაც უვარგისია მომხმარებელი საზოგადოება.

ჯერ ჩვენ უჩვენებთ მაგალითს, რომ თვით ლასსალიც არა ჰპოვებს, რომ ისინი იყვნენ უვარგისნი თვით გერმანიისათვის, სადაც, წინადაც ვსთქვით, რომ საკუთრების პატრონნი მცირენი არიან.

«მე არსად არ მომითხოვნია, რომ თქვენ დაანებოთ შულცეს ასსოციაციებს თავი; მე ეს თავშიაც არ მომსვლია... მე მხოლოდ უხსნიდი მუშებს, რომ შულცეს ასსოციაციებს არ შეუძლიანთ მისცენ შველა მთელს მუშათ წოდებას, მხოლოდ შეუძლიანთ დახმარება კერძო პირთა, ისიც მცირე ხანს. ნუ თუ ეს ჰნიშნავს იმას, რომ მუშები უნდა ერიდებოდნენ ამგვარ ასსოციაციებსა, არ უნდა ჰმართავდნენ ამ ასსოციაციებს, რადგან ესენი ეხმარებიან მხოლოდ კერძო პირთ და მოკლე ხანს და არა მთლად ყველა მუშებს? ცხადი საქმეა, რომ ეს იმას არა ჰნიშნავს. გითომც რატომ არ უნდა ცდილობდეთ დაეხმარნეთ ჯერ ჯერობით შეძლებისდა გვარად კერძოთ მაინც არის თქვენს თავს? ამგვარად შულცეზედ წინააღმდეგი ლაპარაკი სწორედ იმას ეგვანებოდა, რომ თქვენ სამუშაოს ფასს გაძლევდნენ ბევრსა და დაგიშალოთ, რომ ნუ აიღებთ მეთქი, რადგან მაგითი არ ეშველებათ ყველასა! ეს იქნებოდა სისულელე.» (ტომი I გვერდი 307).

«დროება» კი აქ რასა ბრძანებს ზემოდ ხსენებულს სტატიაში.

«მარტო ლასსალის თხზულებაების პირველი წიგნიდამაც, მკითხველი ძალიან კარგად და ყოველი მხრით გაიცნობს ამ საგანს და დარწმუნდება მუშებისათვის მომხმარებელი საზოგადოების უვარგისობაზედ.»

ამას გარდა, მინამ გადავიდოდე იმის გარჩევაში, თუ რამდენად საჭირონი არიან ჩვენთვის იმგვარი ასსოციაციები, რომელსაც ასე ეწინააღმდეგებიან «დროებაში», მე მინდა კიდევ უჩვენო, რა კარგად ეყურებათ იმათ ეკონომიური აზრები. «საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაში ნათლად დამტკიცებულ ჭეშმარიტებად ითვლება ის აზრი, რომ მუშა კაცის დღიური ქირა არცა მატულობს და არც კლებულობს».

და ამასა სწერენ დოქტორები სახლთა შორისი უფლებაებისა (международнаго права) და სპეციალისტები პოლიტიკურ ეკონომიაში!

ლასსალი რომ ამტკიცებს სამუშაო ფასის ერთრიგობას, ის კი არ ამტკიცებს, რომ სამუშაო ფასი არცა მატულობს და არცა კლებულობს, ის ამტკიცებს, რომ სამუშაო ფასი ტრიალებს ერთს ზომასთან, იმ ზომასთანა, სადაც მუშა ხალხს მხოლოდ შეუძლიან ცხოვრება და გამრავლება და არა სრული დაკმაყოფილება მოთხოვნილებათა; მაგრამ ეს სამუშაო ფასი ხან ადის მაღლა, და ხან დადის, თუმცა დიდს ხანს იმ ერთს ზომას ვერ მოშორდება, რადგან თუ მუშები შემცირდნენ რომლისაგამო იმათ ფასი უნდა შევმატოთ, ამ ფასის მომატებაზედ ისინი იწყებენ მრავლობასა; რაკი გამრავლდებიან, ფასს ისევ მოუკლებენ და რაკი მუშებიც მოკლენ იმ სამუშაო ფასის ზომამდის, რომლისაც ქვევით იმათ ცხოვრება აღარ შეუძლიანთ, იწყებენ ნაკლებ შვილოსნობას, და ამასთან ან სახლდებიან თავის ქვეყნიდამ სხვა ქვეყნებში, ან კვდებიან სხვაფრივ თავის მოვლის-ღონესო. ამავე აზრს ამტკიცებს თვით მილლიც, რომლისაც ამოწერას საჭიროდ არა ვრაცხავ, და ვინც ჩვენ არ დაგვიჯერებს შეუძლიან

ამაზედ დარწმუნდეს თვით ლასსალის გამონაწერებიდამ, რომელიც იმასა აქვს მილიდამ მოყვანილი (ტომი 1. გვერდ. 257—259 და სხ.)

ამავე სტატიაში «დროება» ჰქადაგებს ამგვარად:

«ამას გარდა სტატისტიკაში არის კიდევ ერთი კანონი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დღიური ქირის მომატება და მოკლება დიდი ხნობით შეუძლებელია».

ახლა ვკითხოთ «დროებას», რომ ეს კანონი ნუთუ მართლა სტატისტიკის კანონია და არა პოლიტიკური ეკონომიისა? სტატისტიკის კანონი აი რა არის უფ. მესს — ხვანდელნოს მოიყვანოს ცნობაში ციფრებით რა დროს რამდენი მოხდა, რა გარემოებაში რამდენი მოხდა. იმის საქმე არის უჩვენოს მხოლოდ რაოდენობა და არა ის, თუ რაზედ არის დამოკიდებული ეს რაოდენობა. სტატისტიკა სრულიადაც არ იკვლევს რისგან რა მოხდა, ან რისგან რა ხდება, ის მხოლოდ უჩვენებს რავდენი მოხდა, ან რისგან რავდენი მოხდა. იმის კანონი არის დაესმაროს სოციოლოგიას ციფრების ჩვენებით და სხვა კანონები მას არა აქვსრა.

აი ამგვარად «დროება» თოვლ-ჭყაპივით ურევს ერთმანეთში სტატისტიკას, ეკონომიას, ფიზიოლოგიას და ყოველრიგს იკას, იას და დიას.

მაგრამ გადავიდეთ ჩვენ ახლა ისევ «დროების» იმ სჯაზედ, რომ მომხმარებელი საზოგადოებანი უვარგისნი არიან ხალხისთვისა. ჩვენ დავამტკიცეთ ლასალის სიტყვებითვე, რომ თვით გერმანიაშიც არ არიან ესენი უვარგისნი, ამათ იქაც მოაქვთ სარგებლობა, თუმცა მცირე, მცირეს ხანს და მცირეთათვის.

ჩვენა ვსთქვით, რომ ამ ფაბრიკიანს ქვეყნებში ძალიან ბევრნი არიან მუშანი, რომელნიც სრულებით არიან მოკლებულნი საკუთრებას. ამასთან ჩვენა ვსთქვით, რომ გერმანიაში უმიწო ხალხი დიდ ძალია.

ჩვენში უსაკუთრო, უმიწო ხალხი ძალიან მცირეა, სოფლებში ხომ იშვი-ათია. ფაბრიკები, რაც ეხლა არ გაიხსნა, ერთი თუ ორი სულ არ არის. მაშასადამე ქარხნის მუშები ჩვენში უნდა იყვნენ ძალიან მცირე-ნი, ის მუშები, რომელთაც არა ჰქონდეთ, გარდა ფაბრიკაზედ სამუ-შაოსი სხვა ღონისძიება.

ავიღოთ ახლა ის ძალა, რაც იქ მუშათ უჭირავთ. ლასსალის სიტყვითვე. იქ ას კაცში ოთხმოცდა თხუთმეტ კაცამდინ სულ მუშებია, ესე იგი უსაკუთრონი არიან. მაშასადამე ეს ისეთი ძალაა, რომ ამას-თან დანაშთენი ხუთნი უნდა მორწოდნენ. მაშასადამე ლასსალს და იმათს მომადლევართ შეეძლოთ მაღლა აემართათ თავი და შესდგომოდნენ იმ ცვლილებათა, რომელნიც მარტო დღეისთვის კი არ აძლევდნენ სარ-ჩოს მუშათა, არამედ, სამარადისოდ. ამისგამო იმათთვის სათქმელიც არ იყო გაჩერება ერთს ადაგას მცირე შესუმბუქებისათვის.

ამისგამო ის რკინის კანონი, რომელიც ლასსალს მოჰყავს შე-სახებ სამუშაო ფასის ერთს ზომაზედ ტრიალისა, და რომლითაც უმტკიცებს შულცეს, რომ ამ კანონის ძალით შენი ასსოციაციები ვერ შეასრულებენ მუშების სრულს საწადელსაო, არის უფრო ძლიერი ამ უსაკუთრო ქვეყნისათვის, რათგან რაკი პატარა სარჩოს შეიძენდნენ— გამრავლდებოდნენ, და ისევ იმ დღეში უნდა ჩაცვივნულიყვნენ და გამ-ხდარიყვნენ მექარხნის ხელის შემაცქერალნი.

მაგრამ ვნახოთ ჩვენშიც ამგვარი გავლენა ექნება ამ კანონს, თუ არა შესახებ მომხმარებელთა საზოგადოებებისა. ნუ დაივიწყებს მკი-თხველი, რომ მე მექნება აქ საქმე მომეტებულ ნაწილ საქართველოს მცხოვრებლებთან.

გერმანიაში მუშა ხალხი არის დამოკიდებული მამულის პატრო-ნებისა და მეთანხეებზედ. აქ კი მომეტებული ნაწილი არის თვით სა-კუთრების პატრონი, მაშასადამე უფრო თავის თავზედ დამოკიდებუ-

ლი. იმას ვსთქვათ აქვს ათი დღის მიწა, მოჰყავს ოცი თუმნის პური. სჭირდება ხუთი თუმნის ტანისამოსი, მაგრამ ურია, ანუ სომეხი, რომელთაგანაც ესა ყიდულობს, ამ ხუთ თუმანს უხვამს ათ თუმნად. როგორ? ჯერ ერთი ესა, რომ ის არ დაგიდევს რა საქონელსაც მოგყიდის და ხშირად სალის მაგივრად, გაძლევს დამპალს; ამასთან ილებს თავის წასვლა მოსვლის ქირას, დუქნის ქირას და მოგებას იმდენს, რამდენსაც შენ გაჭირვებულს გნახავს. როდესაცა აქვს ხალხს მომხმარებელი დუქნები, მაშინ ეს ყიდულობს სალს, იაფად და მოგებაც ამისია. ასე რომ ხუთი თუმნის ტანისამოსი ჯდება ხუთ თუმნად და იგებს ხუთს თუმანს. თუ ამას იტყვის «დროება» რომ გამრავლდებიანო, მე მოვასხსენებ იმათ, რომ ამათ გამრავლებას მაინც წინ არა უდგას რა, რათგან ჯერ ჩვენი გლეხის გაჭირვება იქამდის არ მისულა, რომ გაჭირვებით ის უცოლობით თავს იჭერდეს. ჩვენი სიღარიბე შესდგება ჩვენი სიმცირისგამო, რომ არა გვაქვს საკმაო მუშა ხელი. ამასთან ისევ სიღარიბით გამრავლებას, შეძლებით გამრავლდეს ხსა სჯობია. რაც შეეხება იმას, რომ გერმანიაში, გამრავლებით სამუშაო ფასი აკლდებათ და ისევ იმ მდგომარეობაში უნდა ჩაცვივდნენ, ჩვენში საკუთრების პატრონები თითონ არიან და მაშასადამე თუ მოხერხება და გარჯა ექნებათ, თავისი შრომის ფასი თავის თავზედ იქნება დამოკიდებული და არა სხვაზედ, რომელიც რაკი ბევრს შემთხოვნელთ დაგინახავთ მოგიკლებთ ფასსა. ამასთან იქ მოჭარბებულია მუშა ხელი, აქ ძალიან მცირეა და გვაკლია. რასაკვირველია, რომ რაკი იმდენი შეძლება იქნება, ხალხი თან და თან გამრავლდება და აღარ გაუწვდებათ ეს საკუთრებაო, მაშინ ხომ ჩვენც ჩავარდებით მაგ კანონის გავლენის ქვეშა, როგორც გერმანელებიო. მაშინ ჩვენ ვეტყვით, რომ თვით ლასსალის ასსოციაციებსაც ეგ დღე მოელით. იქაც ამ კეთილდღეობისგამო, რომელშიაც უნდა ჩაცვივდნენ ამ დაწყობილებაებით, უნდა გამრავლდნენ იქამ-

დის, რომ მაინც იმ დღემდინ მიაღწიონ, სადაც მხოლოდ იმდენი ექ-
ნებათ, რამდენითაც მხოლოდ მაღლუმადური ცხოვრება და გამრავლე-
ბა შეეძლებათ. მაგრამ მანამდინ არის ბევრი დრო, არის მეცნიერება,
არის სწავლა, რომელიც ისმარს ღონისძიებას და დაეხმარება. ლასსა-
ლი ამას ასწავლის როგორც ერთ საუკეთესო ღონისძიებას, რომლი-
თაც უნდა შესწორდნენ ყველანი ქონებით, რომლითაც უსაქმურათ სხვის
კისერზედ არავინა სცხოვრებდეს და რომლითაც გაუმჯობესდება დღე-
ვანდელი საზოგადო ცუდი მდგომარეობა. მაგას კი ვერც ერთი კაცი
ვერ იკისრებს და ვერ იტყვის, რომ ეს წესი და ეს სწავლა არის ის
ღონე, რომელიც დასასრულამდე კაცთა ცხოვრებისა კაცს ჩააგდებს იმ
ბეთილდღეობაში, რომელსაც აღარც ცვლილება მოუნდება და აღარც
სიძველე მოეკიდებათ. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ჩვენს მდგო-
მარეობაში ეს რკინის კანონი ჯერობით არ არის ისე საშიშარი, რო-
გორც გერმანიაში, რადგან იქ გამრავლებით ცვივდებიან სხვის ხელთა
გ ხ ლ ა კ ე და ჩვენ ჯერობით გამრავლებით ვართ ჩვენთ ხელთა; იქ
აღარ უჭირთ გამრავლება და ჩვენთვის გამრავლება ჯერობით დიდათ
საჭიროა. მეორეც ესა: დღესაც, და ხვალაც მშიერს ყოფნას; დღეს
მაინც არის გაძღე, თუ შემიძლიან ისა სჯობიან; ორჯერ მშიერ ყო-
ფნასა, ერთხელ მშიერი ყოფნა სჯობია. ამის გამო ურჩევ მკითხვე-
ლებს, რომ თუ შეუძლიანთ, დამართონ რიგიანი მოხმარებელი საზო-
გადოებანი და ნუ უგდებენ ჟდროებას ყურს, ვითომც ესენი იყვნენ
უვარგისნი, ან ვითომც ლასსალიც ამასა ჰქადაგებდეს. ლასსალი, წელა-
დანაც ავღსენით, უფრო რათაც ჰქადაგებდა. იმას ედო დიდი საქმე
წინ, ეპყრა დიდი ძალა ხელთა. ჩვენ იმ პოლიტიკურ მდგომა-
რეობაში ვართ ჯერ, რომ ლასსალის აზრამდინ ხელი არ მიგვიწვდება,
თუნდა რომ თავიან ფეხიან დავიჩარჩნეთ ჩვენ არც იმ გარემოებაში
ვართ, რომ ამგვარს რადიკალურს ცვლილებაზედ ყური დაგვიგდოს ვინ-

მე. ჩვენი მდგომარეობა სხვათრივაც სამშიშია. ჩვენ უნდა ველოდეთ დროს, და მანამდინ ვცდილობდეთ ჩვენი ყოველი ღონისძიებით ჩვენი თავის დახმარებას. თუ გვექნება ცოდნა, მხნეობა,—გამრავლება რასაც არ გვარგებს, არას გვავნებს არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად. ჩვენ ყოველის ღონისძიებით ვეცადნეთ გამრავლებას, ეკონომიურს გაუმჯობესობას, სარჩოს შეძენას. როცა ესენი გვექნება, მაშინ უფრო ადვილად შეგვეძლება ლასსალისა და ლასსალის მსგავსთ კაცთ სწავლათა შესრულება: უღონისძიებოდ, უცოდნელად, უსახსროდ ვიქნებით ყოველთვის უძლური და იმასაც დავკარგავთ, რაცა გვაქვს; ამისგამო ჯე-რობით დავეხმარნეთ ჩვენს თავს იმ ღონისძიებით, რაც ჩვენ ხელთ არის და ნურც იმას მოვიცლით მხედველობიდამ, რასაც სხვები გვასწავლიან, რომ პირველ მარჯვე შემთხვევაში ვიყვნეთ იმისთვის გამზადებულნი.

აი, ამგვარად ესმის ყველა «დროებას» და ამგვარად სწვრთნის ის თავის მკითხველებს.

«დროება» ძალიან ხშირად ჰკიდებდა ხელს ამგვარ საგნებს და იმ საგნებს, რომელნიც მართლა და საკითხავი და გამოსაკვლელნი იყვნენ ჩვენთვის, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ იმას ერთხელაც არის მართლა და რიგიანად აეხსნას რამე საგანი, კაცს რომ დრო, ალაგი და სალასი ჰქონდეს და გაარჩიოს, რაც «დროებაში» წერილა ამ უკანასკნელს «დროებაში» ზოგიერთი შემთხვევითი ავტორთ სტატიებს გარდა, სულ სათითაო ყველა სტატიას სასხარსასხარ დაღწნიდა და დაამტკიცებდა, რომ ან სულ უაზროა სტატია, ან თუ არის რამე აზრი, ცრუ და შეუმუშავებელი. სხვათა შორის აიღეთ თუნდა სტატია «რა მოსწონს სიღარიბეს?», რომელიც იყო დაბეჭდილი მე 27 № «დროებაში» 1871 წ.

ეს საგანი დიახაც და გასაგები და საცნობელია ჩვენი ღარიბი საზოგადოებისათვის, მაგრამ ნახეთ როგორ ახსნა დროებამ. ის ბევრ-

სა და ბევრს ხანს ლაპარაკობს, რომ ფილანტროპია არას უშველის გაცსაო. «მაშ რა დაიხსნის და რა უშველება ღარიბებს იმათ გაჭირვებული მდგომარეობიდამ?» კითხოულობს აქ «დროება». აქ ცხადი საქმეა ყველას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ახსნის, თუ რა დაიხსნის. აქედამ ცხადი საქმეა, რომ სიღარიბის შესამსუბუქებლათ საჭიროა, რომ ყოველი კაცი შრომობდეს, რომ ყოველი კაცი თვითონვე სარგებლობდეს ამ თავის შრომით და ამასთან, რასაკვირველია, ჰქონდეს საგანი, რომელზედაც ის თავის შრომას ალევდეს.»

აი ამგვარათ ხსნის ამ მთელი ევროპის დაწინაურებულ მოაზრეთა თავის სანტვრევ და ჯერაც რიგიანათ აუხსნელ საგანს «დროება».

ეს ხომ ივანე კერესელიძემაც იცისო, მეტყვის მკითხველი, ჩვენ გვეგონა დროება აგვიხსნიდა იმ გარემოებათა, რომლითაც ჩავარდნილიყავით იმ მდგომარეობაში, რომ ამგვარი წესი დაწესებულიყოო.

დიახ, მეც გეტყვით, რომ იქნება ბევრიც რამ იყვეს, რომ ივანე კერესელიძემ წინათ იცოდა ამათზედ და იქნება, რომ ესენი ბევრით წინ არ წასულიყვნენ იმაზედ. რაც შეეხება ნიჭსა, ღმერთს უნდა მადლობა შესწირონ, რომ კერესელიძის ნიჭი ჰქონდეთ. ივანე კერესელიძეს არა წაუკითხავს რა და არა იცისრა, მაგათ ბევრი უკითხავთ და მაინც არა იციან რა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ივანე კერესელიძეს წაეკითხა რამე მცირესაც არის რასმეს გაიგებდა.

ახლა პირის ჩასაკოკლოზინებლათ გადავიდეთ ერთ უფრო შესანიშნავ «დროების» კურიოზზედ, რომლითაც «დროებას» დიდათ მოაქვს თავი და რომელსაც ასე თავჩენით ლაპარაკობდა. გადავიდეთ იმ სტატიებზედ, სადაც სკანდელი ამტკიცებს ომების სარგებლობას და იმათგან დიდ ბედნიერებას კაცობრიობისათვის.

ჩვენ გადავიდეთ უფ. სკანდელის ფელეტონებზედ: «ომის სადღეგრძელო» და «ომის განვლენა ევროპაზედ».

რათგან გონიერი მკითხველი ძვირათ დაიჯერებს, რომ ამ ჩვენს დროში კიდევღა ჰზედავდეს ვინმე ომის სარგებლობის დამტკიცებას, და რათგან ბევრი სიტნიკოები ამტკიცებენ, ვითომც სკანდელი სრულათაც არ ამტკიცებდეს ომების სარგებლობას, ამის გამო საჭიროთა ვრაცს მოვიყვანო სკანდელის სიტყვები.

«ვინც ამისთანა მოძრაობას თავის საკუთარი თვალით ჰნახავდა, ის უსათუოთ სამუდამოთ დარწმუნდებოდა, რომ კაცობრიობას ომი რომ არ გამოეგონა და აქამომდე არ გამოეზოგა, კაცობრიობის ცხოვრება და ობლობა და კაცის ტვინს ხავსი მოეკიდებოდა.

«მართალია ზოგნი ამბობენ (და, გამოვტყდები მეც ხან და ხან მაგ აზრისა ვარ), ვითომც ხალხებ შუა სწავლისა და ხელოვნების ასპარეზზედ უნდა იყვეს გამართული ომიო, ვითომც ეს ახალნაირი ომიც მოძრაობაში მოიყვანს კაცობრიობის ტვინს და მის ცხოვრებას გააუმჯობესებსო, მაგრამ....

«მაგრამ, ჩემო მკითხველო, ეს როდის იქნება, ღმერთმა იცის ესლა კი ჯერ ჯერობით, ამისთანა უცხო და უსისხლო ომის მაგიერობას ჩვენ ცხოვრებაში სისხლის მღვრელი ომი შვრება...» (№ 28, 1870 წ.)

ახლა იხილეთ სხვაგან.

«მაშ, თუ კი ხალხი უდროვოთ უომოთაც კვდება, რათ უნდა ვწყევლიდეთ ჩვენ ომს, რომელიც კაცში ბევრ ჩინებულ მხარეს ნერგავს და ზრდის, და რომელიც კაცის ხასიათს აკეთილშობილებს, ამაღლებს და ამშვენიერებს?»

«.... ხალხები ხანდისხან ერთმანერთს თავპირს რომ არ ამტვრევდნენ და მუდამ თავპირის დასამტვრევლათ არ ემზადებოდნენ, არც ერთი სახელმწიფო არ შემოიღებდა სხვა ქვეყნებში გამოგონილ სახეირო საგნებს (ოოო!!) ყოველი მხარის განა-

თლება იმით იწყება, რომ შიგ სხვა ქვეყნების იარაღს, თოფ-ზარბაზნებს და სამხედრო გაწყობილებას იღებენ; შემდგომ მოდის ტანთსაცმელი და ბ ო ლ ო ს ს წ ა ვ ლ ა. (როგორა გგონიათ უფ. სკანდელო, იმ სხვა ქვეყნებში იარაღი რომ არა ყოფილიყო და სწავლა ყოფილიყო, გადიღებდნენ ამ სწავლას უცხო ქვეყნებში, თუ არა? თუ იარაღი დავდაპირველათ შემოაქვთ, იმისთვის კი არა, რომ სასარბიელოთა და მისაბაძავათ ჰხედამენ, იმისთვისა, რომ ამითი სხვა იარაღიანი მტერი მოიგერიონ. რომ არც იმასა ჰქონდეს იარაღი, არც სხვასა, მაშინ ამისი ფული მირს დაწინებათ და სხვა რამე სასარგებლოს შეიძენდნენ.) მაშ რათგან ჰქამომდის სხვა საშუალება არა, მოგვგონია რა კაცობრიობას ერთი ქვეყნიდამ (ნუ თუ, უფ. სკანდელო და მეცნიერო მასხო?!) მეორეში სწავლისა და მეცნიერების გადასარგებლათ, ისევ ომი გადლეკრძელოთ; რომელიც ქვეყანაში სიურისა-წესს და პატიოსან გრძნობას ჰნერგავს.» (აბა თუ შკვიანი არა ხარ, სკანდელი! ტყუილათ კი არ არის სიტყვის თავი, გაუგონია პრუდონის სიტყვები და ესეცა უფრის გაუგებრივათ).

შევუდგეთ ახლა ამ ჩვენი რეპეტილოვის აზრების გარჩევასა. როგორც ზემოთაცა ვსთქვი, ჩვენი საზოგადოება რომ საკმაოთ მომზადებული იყვეს და არ იყვეს გატაცებული სიტყვიერებისგნით შემდგარის აზრით, მე აქ მარტო ამ ცარიელ გამოწერას დავკმაყოფილდებოდი, რომ გამესადა სამასხაროთ გონიერი მკითხველისა, მაგრამ ჩვენი საზოგადო აზრი ისე მოყრილა სიტყვიერობამ, რომ აქაც მომინდება დასარღვევი საბუთების წარმოდგენა.

უმთავრესს საბუთათ უფ. რეპეტილოვს მოჰყავს, რომ უომრათ არა ფერს ხალხები ერთმანერთისაგან არას სწავლობენ: ჯერ შემოაქვთ საომარი იარაღი და მერე ტანისამოსი და მერე სწავლაო. ამასთან ომი აპატიოსნებს და ამაღლებს კაცის ხასიათსაო.

აბა ერთი გვიჩვენე უფ. სჳანდჳლო, ქ. რომელი კაცი გაასპატიოსნა ომებმა და სისხლის ღვრამ; ან რომელი ხალხი განათლდა ომების გულისთვის. ავიღოთ თუნდა საბერძნეთი: ნუ თუ საბერძნეთი წავიდა წინ ომის იარაღის მოგონებაებით. ავიღოთ ძველი ეგვიპტე: ნუ თუ რითიმე მტკიცდება, რომ ის თავის სწავლით მისცა წარმატებაში სხვებისგნით სამხედრო იარაღების გადმოღებაებით. საბერძნეთს და ეგვიპტეს თავის დღეში ერთმანერთთან ომი არა ჰქონიათ და სწავლა კი საბერძნეთვსა აღიძრა ეგვიპტედამ. ავიღოთ რომი, რომელმაც მიიღო სწავლა საბერძნეთისა: ნუ თუ ის განათლა საბერძნეთიდამ ომით და არა მაშინ, როდესაც საბერძნეთი გახდა ამათი ხელ ქვეშითი, და ომს ველარც კი უბედავდა? ავიღოთ ქრისტეს სწავლა: ნუ თუ ეს სწავლა შერსდგა ომის ძალით და არა ომების საწინააღმდეგოთ? ავიღოთ არაბები შუა საუკუნოებში, რომელთაც მოიღეს საბერძნეთის სწავლა და მოიყვანეს მოძრაობაში მეცნიერება... ავიღოთ ინგლისი: ნუ თუ ინგლისში შექსპირი, ნიუტონი, ლოკკი, ბაირონი, კეპლერი, დარვინი, ბეკონი და სხვა ათასნი შასდგნენ სხვა ხალხების იარაღების შემოტანის ძალით და არა თვით ხალხის ჭკვის მოძრაობის ძალით და თვით ხალხის სწავლის სურვილის ძალით? ავიღოთ ახლა მშვიდი და დაწყნარებული ამერიკა, რომელიც ომებს უყურებს დაცინვის თვალით და რომელსაც მინამ საქმე არ გაუჭირდება, ჯარებს არც კი იყოლიებს თით ქმისა—ნახეთ ახლა: სად არის ამაზედ წარმატებული სწავლითა, თუ თავისუფლებითა თუ კეთილდღეობით ხალხი? რამ წაიყვანა ეს ხალხი ასე წინ? უფრო იმათ, რომ ჰქონდა სიმშვიდე, მყუდროება და დრო დაჰფიქრებოდა თავის გარემოებას წყნარის გულით, გაეგო თავისი საჭიროება და შესდგომოდა ამათ შესრულებას. რამ დაავგდო საფრანგეთი, ეს უუნიჭიერესი დედამიწის ზურგზედ ხალხი, სხვა ხალხებზედ უკანა? ომებმა. ამათი ხელმწიფეები კარგათა ჰგრძნობდნენ, რომ ამის

თანა ჭკვიანი ხალხი ამათ არ იხელმწიფებდნენ, თუ ცოტაც არის მო-ფიქრების დრო მიეცემოდა და ღონისძიებითა და ცოდვნით ზურგს მოიმაგრებდა. ამისგამო პირველ წამდაათ, რომ ხალხი ღარიბათ და გონება დახშულებული დარჩენილიყო, ჰხედავდნენ ომებსა და ნიადაგ ომე-ბში ართმევდნენ სულსა. ავიღოთ პეტრე პირველის ცვლილებანი, ნუ თუ ის სცვლიდა და ანათლებდა ხალხს მხოლოდ საომრათ და არა იმისთვის, რომ ეს ხალხი მართლაცა და ბედნიერი ყოფილიყვეს?. ავი-ღოთ ეხლა იაპონია და იქ ის მოძრაობა სწავლისა და განათლებისა; ნუ თუ ბატონყმობა გადააგდო მიკადომ იმისთვის, რომ, ეს ომებისა-თვის არის საჭირო? ნუ თუ იმიტომ ჰგზავნის მიკადო ათასობით ქალსა და კაცს განათლებულ ქვეყნებში სასწავლებლათ, რომ იმათ მხო-ლოდ სამხედრო საქმეები ისწავლონ? ნუ თუ ის იმიტომ ჰმართავს ეხლა მრავალ სასწავლებლებს, რომ ამითი იმას ომი შეეძლოს და სხვა არაფერი?

ავიღოთ ახლა სხვა მოგონილებაები. ავიღოთ წიგნის ბეჭდვა, კომპასი, ტელეგრაფი, რკინის გზა, ორთქლის გემები, უატისა და არ-კრაიტის მაშინები, ტელესკოპი, მიკროსკოპი და სხვანი, რომელნიც კი არიან ნამდვილი დამხმარებელნი კაცობრიობის წარმატებაში, რომელნიც არიან ომის მოწყალეებით მოგონილნი და შემოღებულნი და რომელ-ნი უსწავლებია ომებსა? მაშ რა მოიგონა ომებმა და რა გვასწავლეს? თოფი, ზარბაზანი, ყუმბარები, პეტროლიუმი, მიტრალიეზები. რას ჩადიან ესენი? — ჰჟლეტენ ხალხსა, უღებამენ ძმას ძმის სისხლში ხელ-ხა; უმკირებენ ხალხს თითბრისა, სპილენძისა, რკინისა, თუჯისა, ფო-ლადისა და ტყვიის ნივთეულებს ერთი ათათა, მაშასადამე უმკირებენ ცხოვრებასაცა.

ეს კიდევ არაფერი, ახლა გავსინჯოთ ვნება ომებისა. ავიღოთ პრუსია, რომელსაც ამ ომიანობის დროს მოუნდა ორი მილიონზედ

მეტი ჯარის შეკრება. ჯერ წარმოიდგინეთ ორი მილიონი თოფი. ახლა იმათი დაკეთება, რამდენი ხალხი უნდა მოსცდეს ამათ დაკეთებაზედ; იანგარიშეთ ახლა იმათი დასაკეთებელი სახლები, შეშა, ყალიბები, მაშინები და ჰნახავთ, რომ ამ ორ მილიონ სალდათზედ სცდება ამათი თოფების სამზადებლად ორი მილიონი ხალხი სხვა; იანგარიშეთ ახლა ამათი შესაფერი ზარბაზნები და ამისი ტყვია წამალი. იანგარიშეთ ახლა ციხეები, კაზარმები; ამ ჯარების ღენარლები, აფიცრები; ახლა ამათი შესაფერი ცხენები. ორ მილიონ ჯარს სამასი ათასი ზარბაზნისა და კავალერიის ცხენები მაინც მოუნდებოდა. ახლა ამ ცხენების საჭმელი, ორი მილიონი სალდათის საჭმელი, ჯამაგირი, ჩაცმა დახურვა, ცხენების სადგომი და ათასი კიდევ სხვა და სხვა საჭიროებაები, რომელთაც ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით. ახლა, ვიანგარიშოთ, რომ ეს ორი მილიონი და ამ ორი მილიონის მოსამზადებლად მიჩემებული სხვა ორი მილიონი რომ უნდება, სულ არიან საღი ამორჩეული მუშა ხალხი და არიან სასარგებლო მუშაობას მოკლებულნი. ახლა ამასთან ჩვენ რომ ავიღოთ პრუსია იმ თავის ცხრამეტი, ან გინდა ოცდა ხუთი მილიონი მცხოვრებით, სადაც საღი და ჯანიანი მუშა ბევრი-ბევრი გამოვიდეს ათი-თორმეტი მილიონი, მაშინ ვნახავთ, რომ ამ ათი-თორმეტი მილიონიდამ თითქმის ნახევარი ომს უნდება და დანაშთენმა ნახევარმა უნდა შეინახოს ეს ორი მილიონი ჯარიცა თავისის ორი მილიონი მომცდარი ხელით, იმათი ცხენებიცა, იმათი აფიცრებიცა, იმათი ღენარლებიცა, სახელმწიფოს მართველნიცა, სელმწიფეცა, ჩინოვნიკებიცა; შეინახოს და დამართოს გზები, გემები და სხვანი, და შეინახოს დანარჩენი შვიდიდამ თორმეტ მილიონამდინ მოხუცნი, ბავშვნი, სნეულნი და უძლურნი. *)

*) აქ მოყვანილი ანგარიში დაახლოვებით მომყავს, მეტ ნაკლებით, რადგან ამის შესახებ არავითარი ცნობა არა მაქვს ხელში.

ახლა ამას დაუმატოთ რამდენი დიდი ჭკუა და მაღალი ნიჭი იღუპება ტყუილად სამხედრო ნაწილში! რამდენი ჯანიანი და ოჯახის შემნახველი კაცი იღუპება ომში და რჩება იმისი ცოლშვილი უპატრონოდ? ახლა ამასაც თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რა მიზეზისა გამოსდგება ომები, მაშინ ხომ ვნახავთ, რომ ომები არიან ისეთი ბოროტებანი, რომელთაც არ აღიარებს კაცის ენით. თუ ომი კარგი და სასარგებლო ყოფილიყო, პირველი კაცი, რომლისაც მსგავსი იქნება ქვეყანას არ ენახოს, და ამასთან იქნება ამ ჩვენს დროში პირველი მეომარიცა, გარიბალდი არ იტყოდა, რომ: მე ვიბრძვი იმიტომ რომ მოვსპო ომებიო.

რაც შეეხება იმას, რომ ყველა სახელმწიფოები რაწამს სხვაგან მოიგონებენ ახალ სამხედრო ღონისძიებას, მაშინვე იღებენ და სწავლობენ, იმიტომ კი არა, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, რომ ამით ჩვენი კეთილდღეობა წინ წავიყვანოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ კეთილდღეობას დავიცვათ ომების ბოროტ გავლენისაგანაო. წარმოვიდგინოთ ესლანდელ დროებაში ისეთანა სახელმწიფო, რომელიც თვის კეთილდღეობით, თვის განათლებით სდგას სხვების უმაღლეს, მაგრამ არა აქვს სამხედრო იარაღი. მაშინ ამას ნაპოლეონები და ბისმარკები მაშინვე ლაჯვებ ქვეშ ამოიღებდნენ და გაასწორებდნენ დედა-მიწასთან იმავე ომისა და სამხედრო იარაღის ძალით, რომელთაც სკანდელი ჰპოვებს დიდ ბედნიერებად კაცობრიობისთვის. მაშინ, მეტი რა ჯანი აქვს ამ სახელმწიფოს, რომ თვითონაც არ გაიჩინოს ეს იარაღი, რომ დაიცვას თავი მოლტკეებისა და ბისმარკებისაგან.

რომელი სახელმწიფო ბიუჯეტიც გინდა აიღე ამ ბოლოს დროებაში — ნახავ, რომ ნახევარზედ მეტი სახელმწიფოს შემოსავალი მიდის ომების დროს ომებზედ. აბა ახლა ეს ხალხი, ეს იარაღი, ეს ხარჯი, ეს ცხენები, ეს მაშინები, რაც ომებზედ იხარჯება, დაუბრუნე

ხალხსა; ამით დაუმართე სასწავლებლები, საწყალოსნოები, მიეცი მასწავლებლები, მუშები და ნახავდი: იქნებოდა მაშინ ხალხი უმეტეს წარმატებაში, რაშიაც ესლა ომების დროს არიან თუ არა? არც ერთი ხალხი ომის მოწყალეებით არ გაბედნიერებულა და გაუმდიდრებული კი ბევრი გვინახავს: ავიღოთ ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონი, ფინიკია, კართაგენი, საბერძნეთი, რომი, არაბები და სხვა ათასნი.

რაც შეეხება ომისგნით გაკეთილშობილებას ჩვენ ამას ვიტყვით, რომ დაღვრილი სისხლი თუ აკეთილშობილებდეს ვისმე და უმაღლებდეს ხასიათს, მაშინ დათვებისთანა და ავთრებისთანა პატიოსანი და მაღალი ხასიათისა არავინ უნდა იყვეს: კაი მაგარი და მკვიდრი ხასიათების პატრონი კაცი უნდა იყვეს, რომელსაც ბევრი სისხლის უურებით და სისხლში ხელის რევით შერჩეს პატიოსნება. კაცი, რომელიც უმიზეზოდ დაჰღვრის კაცის სისხლს, ის არის მხეცი და არა კაცი. დღეს მომეტებული ნაწილი კაცობრიობისა ჰღვრის ერთმანერთის სისხლს გაუგებრივ, უმიზეზოდ, სხვის უბრალო სარგებლობის გულისათვის. ნაპოლეონის სალდათები ათასობით იჟლიტებოდნენ და ჟლეტდნენ სხვებს, ეგრეთვე ვილჰელმის სალდათები ჟლეტდნენ და აოხრებდნენ სრულებით უმანკო საფრანგეთის მცხოვრებთა: პირველნი ნაპოლეონის ინტერესისთვის, მეორენი ვილჰელმისთვის. სად არის აქ გაპატიოსნება და ამაღლება? ნუ თუ ეს არის პატიოსნება, რომ მოლტკე ზულგრილად უპირებდა ვილჰელმის უბრალო ინტერესისთვის ქვეყნის განმანათლებელ ქალაქს პარიჟს ორი მილიონი მცხოვრებლებით ამოჟლეტასა? ამას, თუ არ კაცის სისხლში გაჩვეული კაცი, ვერც ერთი პატიოსანი გული და ვერც ერთი მაღალი სვინიდისიერი ხასიათი ვერ იზამდა. ნუ თუ ეს არის პატიოსნება, რომ კოროლი ვილჰელმ, როცა ერთი ბეწვა საქმე უპირდა, თითონ მაღლა ცას შეჰღაღადებდა, და როცა იმისი წინამძღვრები იმის ფეხქვეშ იხრჩობოდნენ სისხლში, ცოლს მახარობელს უგზავნიდა და ყველა ეკლესიებში ზარების რეკით სამადლობელ პარაკლისებს ახდევინებდა!

აი, უფ. სკანდელო, რა არის რეპეტილოვობა, რა არის აყოლა სიტიკოების თაყვანის ცემისა! თქვენ რომ სიტიკოვების თაყვანის ცე-

მას არ აჰყოლოდით, არ დაგეჯერებინათ ქება მესხებისა, წერეთლებისა, დიმიტრიძეებისა და სხვათა ამათ გვართა, თქვენ ჩაფიქრდებოდით და დარწმუნდებოდით, რომ სისხლი კი არ აპატიოსნებს კაცს, ახდენს, ამხეცებს. სისხლის ღვრა არის მხეცების შესაფერი.

თქვენ იქნება მითხრათ გარიბალდიო? გამბეტაო? დიაღ, ჩვენც მოგახსენებთ, ღირსი კაცნი არიან. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ომში გაპატიოსნდნენ, იმიტომ, რომ იომეს პატიოსნებისათვის. ისინი ომმა კი არ გააპატიოსნა, ისინი ომამდინ იყვნენ პატიოსანნი და ჰღვრიდნენ სისხლს პატიოსნებისა და ხალხის კეთილდღეობის დასაცველად: ომი ორნაირია: ერთი იძულებითი, მეორე მძლავრობითი. რასაკვირველია, რომ შენ და მესხი, მე მეტი ჩარა არა მაქვს, უნდა მოგიგერო: აი ამგვარ მეომართ ეკუთვნიან გარიბალდი და გამბეტა. ისინი იბრძვიან, რომ მოსპონ ბრძოლა. ისინი იბრძვიან იმისთვის, რომ არიან პატიოსანნი და არა იმისთვის არიან პატიოსანნი, რომ იბრძვიან.

დაფიქრდით კარგად.

ახლა მშვიდობით! მე რომ ასე გავწყვე, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, იქნება ორი სამი სტატიაც არ დარჩეს, რომ არ მოგვინდეს თავიდამ ბოლომდინ ჩამლა. ჩვენ ამის ნებას დღე და ადგილი არ გვაძლევს.

რაც შეეხება წლევანდელ ნომრებს, იმას თითქმის არ შევეხებით, რადგან იმის გარჩევას ვაპირებთ სხვა დროისათვის და სწორე გითხრათ იმათ გარჩევას ტალახის ზელა სჯობს. მინამ კიდევ სკანდელი სწერდა, თუმცა რეპეტილოვობდა, მაგრამ რამე საგანს მაინც ეხებოდა და თუ მართალს არ ამბობდა, სტყუოდა მაინცა, ასე რომ სალაპარაკო მაინც არის. ახლა ამასაც გამოკლებული და გამონიჟღულია «დროება».

ეგენი სულ მტერს, მოყვარესაო? მკითხავს მკითხველი. მოყვარეს პოლიტიკური ნაწილი და პოლიტიკური ცნობანი, რომელიც, რაც შეეხება კვირის გაზეთს, იყო სრული და სვინიდისიერი ცნობებიდამ მოყვანილი.

ანტონ ფურცელაძე.

1872 წ. 7 ივლისს.

„მნათობი" 1872,